სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 25 მაისი 2004 №117 (2136) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი აქა ვართ?

ჟირესს ნაკლები, ოღონდ მართლა ნაკრები და არაუშავს თამაში ეღირსა

დღეიდან საქართველოს ეროვნული ნაკრები სრული სიმძლავრით შეუდგა 27 მაისის მატჩისთვის მზადებას — ებრაელები წუხელ ნაშუალამევს ჩამოვიდნენ ჩარტერული რეისით და თბილისური სამზადისი მათაც დაეწყებათ.

ისრაელთან მატჩისთვის საქართველოს ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება, მათ შორის რეინჯერსელი ზურაბ ხიზანიშვილიც, თუმც ჩვე ნი გუნდის დაცვა ძაბუნი არ უნდა იყოს — კახა კალაძე ითამაშებს.

დღესვე ალენ ჟირესი პრესკონფერენციას გამართავს, ხოლო გუნდს თამაშამდე ორჯერადი წვრთნა დაუნიშნა.

კახა კალაძე



მალხაზ ასათიანი

ალეკო ამისულაშვილი



რატი ალექსიძე

დავით მუჯირი

გაგი კოდუაძის ფოტოები

„რეალი" ჩემპიონთა ლიგიდან რომ გავარდა, აქა-იქ ითქვა, კარლუშ კეიროშს გაუშვებენო. სამეფო თასის ფინალი რომ წააგო, ამაზე უფრო ხმამაღლა ალაპარაკდნენ. ჩემპიონობის შანსი რომ დაკარგა, ვარაუდი თამამ განცხადებად იქცა. ბოლოს კი, ზედიზედ ხუთი დამარცხების მერე, სიტყვა საქმედ იქცა და კარლუშ კეიროში „რეალის" მწვრთნელი აღარ არის.

„რეალს" უიღბლო პორტუგალიელის ნაცვლად ხოსე ანტონიო კამაჩო მიჰყავს.

აი, „ლივერპულიდან" ჟერარ ულიეს გაშვებაზე ამდენი ლაპარაკი არ ყოფილა. თითოოროლა ვარაუდი გამოითქვა და ეგ იყო. ფრანგმა, რაც „ლივერპულში" მუშაობდა, გუნდს შიდა თასები და უეფას თასი მოაგებინა, ჩემპიონთა ლიგაშიც ათამაშა, მაგრამ „ლივერპულისთვის" ეს ცოტა გამოდგა და გუშინ ჟერარ ულიეც მოხსნეს.

ახლახან მოხსნილი ოტმარ ჰიცფელდის ნაცვლად კი მიუნხენის „ბაიერნს" ფელიქს მაგათი გაწვრთნის, „შტუტგარტის" ან უკვე ყოფილი დამრიგებლის დანიშვნის ამბავი მიუნხენელებმა გუშინ ოფიციალურად გამოაცხადეს.

კამაჩო გადაბრუნებული შრმისთვის ბაიერნი: მაგათი უკვე ჩვენია

ჟერარ ულიე



ფელიქს მაგათი



ხოსე ანტონიო კამაჩო



კარლუშ კეიროში



კახა კალაძე

გიორგი ლომაია

ყველა აქა ვართ?
ნაკრებს ფინალში ვნახავთ

ჩამომსვლელი ყველა ჩამოვიდა, საქართველოს ნაკრები უკვე სრული შემადგენლობითაა და ისრაელთან 27 მაისის ამხანაგური მატჩისთვის სრული დატვირთვითაც შეუდგა მზადებას.

მწვრთნელ ალენ ჟირესის ხელქვეით სულ 19 ფეხბურთელია, რომლებიც სასტუმრო „ბატესტაში" შეიკრიბნენ და მატჩამდე დღეში ორჯერ ვარჯიშობენ. გუშინ დილით ნაკრებმა არასრული შემადგენლობით „ისნის" სტადიონზე ივარჯიშა, საღამოს კი სპორტის აკადემიის კორტებზე ნაივარჯიშა

სასტუმროში მიბრუნებულ გუნდს რუსეთიდან ჩამოსული რატი ალექსიძე, ოთარ ხიზანეიშვილი, კიევიდან კი ალეკო ამისულაშვილი შეუერთდნენ. გუშინვე საღამოს ჩამოვიდნენ გერმანიაში მოთამაშენი — ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი.

ჟირესის გამოძახებული თავდაპირველი შემადგენლობიდან გუნდს ხუთი ფეხბურთელი დააკლდა. „ალანიას" ქართველების, ვიტალი დარასელიასა და ლევან გვაზავას ტრავმიანობის ამბავი თუ ადრევე იყო ცნობილი, გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ ისრაელთან ვერც ზურაბ ხიზანიშვილი, მიხეილ აშვეთია და რევაზ ქემოკლიძე ითამაშებენ — ჟირესმა ისინი შეკრებიდან უკვე დაითხოვა, ესენიც ტრავმას უჩივიან. ამათ სანაცვლოდ მწვრთნელმა „თბილისიდან" მცველ გივი კვარაცხელიასა და ნახევარმცველ თორნიკე აფციაურს უხმო.

— ჟირესის ხელმძღვანელობით უკვე ორჯერ ვივარჯიშე, სასიამოვნო იყო მისი გაცნობა, ვარჯიშითაც კმაყოფილი დავრჩი, ეტყობა, საქმის კარგად მცოდნე კაცია, თუმც მწვრთნელის კვალიფიკაცია ხომ მაინც შედეგებით განისაზღვრება, ვნახოთ, მის ხელში როგორ ვითამაშებთ — გვითხრა იტალიური „მილანის" მცველმა კახა კალაძემ, რომელსაც სასტუმროსთან გამოველაპარაკეთ — თავად კი, ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ, ტრავმა საბოლოოდ მოვიშუშე და ისრაელთანაც მთელი ძალით ვითამაშებ.

მეკარე გიორგი ლომაია თავისი კლუბიდან ახალი ამბების მოლოდინში იყო და მოსკოვიდან ზარს ელოდა. საქმე ისაა, რომ ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ „სპარტაკის" მწვრთნელ ნევიო სკალას ბლომად წყალი შეუდგა.

— როგორც მითხრეს, სწორედ დღეს უნდა გაირკვეს, დარჩება თუ არა სკალა „სპარტაკში", დღეს კრება იყო დანიშნული და რა გადაწყვეტილება მიიღეს, ჯერ არ ვიცი, ალბათ, დამირეკავენ და მეტყვიან.

— ამდენი ხნის უთამაშებელს მოედანზე დაბრუნება არ გაგჭირვებია?

— არც ისე. როსტოვში მატჩისას უფრო დაძაბული ვიყავი, გუშინწინ „ალანიასთან" კი უფრო დავმშვიდდი და ვფიქრობ, ახლა კარგ ფორმაში ვარ.

ლომაიას მსგავსად, ალბათ, „როსტოვის" ფორვარდი რატი ალექსიძეც მალე ათამაშდება. რატიმ შაბათს მოსკოვში, „დინამოსთან", ნახევარი საათი ითამაშა და როგორც ჩვენმა რუსმა კოლეგებმა თქვეს, ქართველმა მასპინძლები საკმაოდ ანერვიულა.

— ტრავმის შემდეგ მოვმჯობინდი, ფორმაც აღვიდგინე და როცა რუსეთის ჩემპიონატი განახლდება, ალბათ, ძირითადშიც დავიბრუნებ ადგილს, ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი ამას მპირდება — იმედიანადაა ალექსიძე — ვატყობ, მას ჩემი იმედი აქვს და არ მინდა, ვუმტყუნო. ისრაელის ნაკრებთან თამაში ჩემთვის და, რა თქმა უნდა, მთლიანად ჩვენი გუნდისთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებს შემდეგი მატჩი აგვისტოში, მოლდოვაში ექნება. იქამდე კი, ზეგ, ისრაელთან თამაშია. ებრაელები თბილისში ნაშუაღამევს უნდა ჩამოფრენილიყვნენ და სასტუმრო „მარიოტში" გაჩერებულიყვნენ.

ჩვენი ნაკრები დღესაც ორჯერ ივარჯიშებს, დღესვე დაგეგმილია ალენ ჟირესის პრესკონფერენცია. ხვალ კი მთელი გუნდი საქართველოს თასის ფინალს დაესწრება.

კობა ინასარიძე



ალეკო ამისულაშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი



რატი ალექსიძე

აბა, თქვენ იცით

დღეს დილით ქუთაისის „ტორპედო" თასის ფინალში სათამაშოდ თბილისისკენ გამოემგზავრა. გუშინ კი გუნდს ქალაქის მერი გია გიორგაძე შეხვდა და ბიჭები გაამხნევა, აბა, თქვენ იცით, თასი ჩამოგვიტანეთო. შეხვედრა დიდხანს არ გაგრძელებულა, ქუთაისის თავკაცობამ ტორპედოელებს გვერდით დგომა აღუთქვა.

გენერალური სპონსორი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ფეხბურთი

დავით ყიფიანის თასის ფინალი

დინამო თბილისი

VS

ტორპედო ქუთაისი

26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.

დასაწყისი 20:00

პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გეპატიჟებიან ფინალურ მატჩზე. მობრძანდით, ისიამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან

დასწრება უფასოა

დემეტრაძეს და ჯამარაულს გამუსლინება ელით

დემეტრაძე-ჯამარაულს ახალი მწვრთნელი ეყოლებათ — დონეცკის „მეტალურგს" მომდევნო სეზონიდან სლავოლიუბ მუსლინი გაწვრთნის. სერბი განვლილ სეზონში „ცრვენა ზვეზდას" თავკაცობდა და გუნდს ჩემპიონობა და თასი მოაგებინა.

გუშინ დონეცკის კლუბის წარმომადგენლები მუსლინს შეხვდნენ და ორწლიანი კონტრაქტიც გაუფორმეს.

სხვათა შორის, სერბი მწვრთნელი „ცრვენა ზვეზდასთან" ერთად საქართველოშიცაა ნამყოფი. ბელგრადელები 2000 წელს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოს" შეხვდნენ.

52 წლის სლავოლიუბ მუსლინის გადაბირება ერთი თვის წინ დონეცკის „შახტარს" სურდა მას შემდეგ, რაც მეშახტეებისგან ბერნდ შუსტერი წავიდა, მაგრამ გერმანელი „ბეშიქთაშიდან" გათავისუფლებულმა რუმინელმა მირჩა ლუჩესკუმ შეცვალა.

პაატა კვანტალიანი

ნორვეგია
სუპერლიგა. VIII ტური

მიოლდე 1:1 ვოლერენგა

ფინეთი
ვეიკაუსლიგა. V ტური

ჰიკ 1:1 ტპ-47

შვედეთი
ალსვენსკა. IX ტური

იურგორდენი 2:1 იორგრიტე

ელფსბორგი 3:0 იორებრო

ჰელსინგბორგი 0:2 მალმიო

გიოტებორგი 0:1 ჰამარბი

სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრდა. ისტორიაში პირველად დანიშნულია ოქროს მატჩი, რომელშიც „სიონი“ და „ვიტ ჯორჯია“ ითამაშებენ. ასე რომ, საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება.

სკანდალში გახვეული ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის ბოლო დღეს ჩემპიონობის სამივე პრეტენდენტმა მოიგო, თუმცა მოგება აღარაფერში გამოადგა „დინამოს“, რომელიც ცხრილში მესამე ადგილზე დარჩა და შარშან მეთერტმეტედ მოპოვებულ ტიტულს გამოეთხოვა.

ასე რომ, ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ... არ დამთავრდა. ოქროს მატჩი კი, ცხადია, საინტერესო დასასრული იქნება. მოკლედ, საქართველოს უკვე ეყოლება ერთგზის ჩემპიონი.

ბადრი ჯეიელიძის ფოტო

საქართველოს უმაღლესი ლიგა — მეორე

15

ჩემპიონატი ლიგა — ეტაპი

10 ტური

ვიტ ჯორჯია 1:0 ლოკომოტივი	ტორპედო 3:4 [illegible]
თბილისი 0:1 სიონი	ბათუმი 1:3 ჯოლხეთი
დილა 1:2 დინამო	მერცხალი 2:6 მცხეთა

ბადრი ჯეიელიძის ფოტო

ალექსანდრე ინწკირველის ამ გოლით „ვიტ ჯორჯია“ ოქროს მატჩს ითამაშებს

ჩვენ რას ვვერჩი?

შაბათს, „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივის“ მატჩისას, მასპინძელთა გამარჯვების გოლის შემდეგ ქომაგები უბედურ შემთხვევას გადაურჩნენ: სწორედ მაშინ, როცა ლექსო ინწკირველმა მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა, რომელიც უზომოდ გახარებულმა ფეხბურთელმა ბურთი ტრიბუნისკენ გამოსტყორცნა და... „შევარდენის“ სტადიონი, მოგეხსენებათ, ცალტრიბუნიანია, რომლის თავზეც ერთგვარი VIP-ლოჟაა. ჰოდა, მოედნიდან დარტყმული ბურთიც ამ ლოჟის ფანჯარას მოხვდა და შუშა ჩაამსხვრია. ნამსხვრევებით ლოჟაში მყოფი ერთი ქომაგი მსუბუქად დაშავდა, ტრიბუნაზე მსხდომი მაყურებელი კი გადარჩა — ის ადგილი, სადაც შუშის ნამსხვრევები ჩამოიყარა, მართლაც რომ ბედად, თავისუფალი იყო.

ერთი სიტყვით, ჩვენნაირი პატარა ქვეყნის პატარა ჩემპიონატის პატარა სტადიონებზე სიხარულსაც მოზომვა უნდა.

ენა გაგიგია თუ ენას აგიხარ...

გულშემატკივრების, ფანების გარეშე ფეხბურთი მკვდარია და თუ სტადიონზე მათი ხმა არ ისმის, ფეხბურთელთა სირბილს აზრი არ აქვს. გორში ფეხბურთი განსაკუთრებულად უყვართ, მაგრამ სტუმართა გუნდის მოთამაშეებს გამეტებით რატომ აგინებენ, გაუგებარია. გორელი გულშემატკივრების ერთმა ნაწილმა „დინამოს“ კაპიტანი გიორგი ნემსაძე აშკარად გაიმეტა გასალანძღად — რატომ? რისთვის? სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, ემოციები რას და რატომ უნდა დააცალოს — ზოგი ასე უბერავს, ზოგი ისე უბერავს...



ბადრი ჯეიელიძის ფოტო

ბადრი ჯეიელიძის ფოტო

ჩვენ ვართ ფანები

„თბილის“ — „სიონს“ მართლაც შეეხვედებოდა. თამაში თამაშად და, საინტერესო მოედნის მიღმაც ბევრი იყო. ავლაბრული სტადიონის ტრიბუნების გამვსებთა უმრავლესობა ბოლნისელი გახლდათ. ქვემოქართლელები კი ყოველთვის გამოირჩეოდნენ ჟინიანი ქომაგობით და, ბუნებრივია „სიონისთვის“ გადამწყვეტ მატჩში გამორჩევით გულშემატკივრობდნენ თავისიანებს. ქომაგი „თბილისსაც“ ჰყავდა, მაგრამ ბოლნისელები სჭარბობდნენ და მეტი ჟინით და მონდომებითაც ქომაგობდნენ. ამ ამბავში სახალისო კი ის იყო, რომ ქვემოქართლელთა ხმაშეწყობილ გუგუნს — „სიონი ჩემპიონი“ — მავანი ბურთის მიმწოდებელი ბიჭუნა არ ეპუებოდა და მინდვრის კიდიდან თავგანწირვით მოუწოდებდა „თბილისს“ გამარჯვებისკენ. ის ბავშვი მატჩის ბოლომდე არ გაჩერებულა და არც დანებებულა — ხმის ჩახლეჩამდე, ბავშვური სიჯიუტით გაჰყვიროდა „თბილისს“. ბავშვს არ გაუმართლა, „თბილ!!!ეაც“...

ტრიბუნაზე თუ ზიხარ, ბოთლაში ნუღარ ზიხარ

ისევ ბოლნისელთა ქომაგობა... „სიონს“ გულშემატკივარი ამხნევებდა ტრიბუნიდან, გულშემატკივარს — კონიაკი „თბილისური“. ბოთლი ხელიდან ხელში გადადიოდა, რასაც „სიონის“ ქომაგი დიდ ექსტაზში შეჰყავდა.

ბოლნისელ ქომაგთა ყოჩი აღაა, კაცი მართლა ქომაგი და ფეხბურთით მოსულდგმულე. თუმც, „თბილისთან“ მატჩში აღა ჩრდილში მოექცა, ბოლნისელებს შაბათს სხვა ბელადი ჰყავდათ — ჯამბულა, ვინაც რამდენიმე ბრძოლა გადაიხადა ტრიბუნაზე თბილისელ ქომაგებთან და „სიონის“ გასამხნევებლად ბარე ათი სიმღერაც დაავუგუნა. ჯამბულა უმართავი გახდა „სიო ნის“ გოლისას, ემოციებმოძალებული მოედანზე შევარდა და საქმე გაუჩინა პოლიციელებს.

ქომაგის ადგილი ტრიბუნაზეა...

ბადრი ჯეიელიძის ფოტო

სიმბოლური ნაკრები

- **მიხეილ კაკალაძე** — დინამო
- **გიორგი ადამია** — ვიტ ჯორჯია
- **ვლადიმერ გოჩაშვილი** — ვიტ ჯორჯია
- **გოჩა ხოჯავა** — თბილისი
- **დავით კვირკველია** — დინამო
- **იური გაგისკირია** — სიონი
- **ლაშა ნოზაძე** — ვიტ ჯორჯია
- **დავით ბაძრაძე** — სიონი
- **სანდრო გურნაძე** — სიონი
- **ირაკლი ვაშიკიძე** — ლოკომოტივი
- **ავთანდილ ლაგაძე** — სიონი

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ორი მისტერ ბინი: შოთა არველაძე და როუენ ატკინსონი

მისტერ ბინი ფოკუსებს კვლავაც გვპირდება

საფეხბურთო სეზონი თითქმის მთელ ევროპაში დასრულდა და ქართველი ლეგიონერებიც სამშობლოში ბრუნდებიან.

თბილისშია „გლაზგო რეინჯერსის" შემტევი შოთა არველაძე, ვინც ნაოპერაციევია და „დინამოს" დიღმის ბაზაზე მსუბუქად ვარჯიშობს. ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე 27 მაისს ისრაელთან ვერ ითამაშებს — არველაძეს ტრავმის ბოლომდე მოსაშუშებლად და ფორმის სრულად აღსადგენად ჯერაც საკმაო დრო სჭირდება.

ტრავმიანობის გამო არველაძემ გასული სეზონის ორი მესამედი თუ ითამაშა, თუმც „რეინჯერსის" მთავარმეგოლე შეიქნა, მაგრამ მაინც უტიტულოდ დარჩა — „რეინჯერსმა" 2003-04 სეზონში ვერაფერი მოიგო.

ინტერვიუ კი ზოგადი გამოვიდა, აქეთურ-იქეთური...

— ტრავმიანობა რომ არა, კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ვითამაშებდი. თუ სანაკრებო, სათასო და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გატანილ გოლებს დავთვლით, სეზონში 18 გოლი მიგროვდება. ვფიქრობ, ყველა ტურნირზე ნორმალურად ვითამაშე.

— ფეხბურთის სტატისტიკის საერთაშორისო ბიურომ კი საუკეთესო მეგოლეთა ათეულში მიუჩინა ადგილი.

— აქ მხედველობაში მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში გატანილი გოლები მიიღება და ორასზე მეტი ბურთი მაქვს შეგდებული. კარგია, რომ სია რომარიოთი იწყება, ხოლო ჩემს შემდეგ რობერტო ბაჯო და ჰენრიკ ლარსონი მოდიან.

— ავტობიოგრაფიული წიგნის დაწერა დააპირე, თუმც წიგნი ჯერაც არ ჩანს...

— უხასითობის გამო შევჩერდი. საკმაოდ დიდი მასალა მიგროვდება დასაწერი, რასაც თავის მობმა უნდა. მაგრამ ტრავმის გამო, ცოტა არ იყოს, დეპრესიაშიც კი ჩავვარდი.

— და ეს დეპრესიის მაგვარი ახლაც გრძელდება?

— ახლა შვებულება მაქვს, შინ ვარ და მზეს ვუყურებ, რასაც შოტლანდიაში დანატრებული ვიყავი. ხოლო უხასიათობიდან ბოლომდე რომ გამოვიდე, ამისთვის ათი მატჩი უნდა ვითამაშო და ყველაფერი დამთავრდება.

— შოთა არველაძე და უხასიათობა? შენ ხომ მისტერ ბინი დაგარქვეს...

— მისტერ ბინი პირველად „აიაქსის" ფეხბურთელმა მარტინ როუსერმა დამიძახა და შემრჩა კიდეც ეს მეტსახელი. როუსერმა მითხრა, ამ კომიკოსივით კარგად ღადაობ და მას გარეგნულადაც გავხარო.

— გასულ სეზონში „რეინჯერსში" კენტი ქართველი აღარ იყავი — როგორ ფიქრობ, რა შემატა ზურაბ ხიზანიშვილს „რეინჯერსში" გატარებულმა სეზონმა?

— ის „დანდიდან" დიდ გუნდში, ჩემპიონთა ლიგაში, ძალიან კარგ ფეხბურთელებთან აღმოჩნდა, მაგრამ ხიზანიშვილს თანდაყოლილად აქვს ისეთი რაღაცეები, რომ კიდევ რაღაცის შეძენა აღარ სჭირდება — ვარჯიში, შრომა და სათამაშო პრაქტიკა — „ხიზანას" წინსვლისთვის, კიდევ უფრო დიდ გუნდში გადასასვლელად მხოლოდ ეს სჭირდება.

— გასაგებია, მაგრამ ხიზანიშვილს შოტლანდიაში ჯერ გოლი არ გაუტანია — ერთხელ მაინც ვერ გაატანინე?

— თვითონ ერთხელ მაგარი პასი მომცა და გოლიც კარგი გამომივიდა, მე კი მას ჯერ ვერ გავატანინე. როცა მუხლზე ოპერაციის გაკეთება გადავწყვიტე, „რეინჯერსში" დავუბარე ვიღაც-ვიღაცეებს, „ხიზანას" გოლი გაატანინეთ-მეთქი, მაგრამ მათ დანაბარები ვერ შეასრულეს.

— საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს გლაზგოში როგორ აღიქვამდი?

— ძალიან ვნერვიულობდი. ერთი სული მქონდა, ვარჯიშიდან სახლში მივსულიყავი და ახალი ამბებისთვის მეყურებინა. თანაგუნდელები მეკითხებოდნენ, ყველაფერი ეს უკეთესობისთვის ხდება, თუ უარესობისთვისო. როცა ყველაფერი დამთავრდა, მერე იმას მეკითხებოდნენ, ახლა მაინც არ დაგვპატიჟებ საქართველოშიო. მაგრამ მე ჯერ არავის ვპატიჟებ, რადგან თბილისი ჯერაც ვერაა ისეთი, როგორიც უნდა იყოს. თუმც კარგია, რომ ტენდენცია ყველაფრის უკეთესობისკენ შეცვლის გზით მიდის და ამის გამო ვგულშემატკივრობ ახლანდელ მთავრობას, ოღონდ არის რაღაცეები, ადრეც რომ არ მომწონდა და ახლაც რომ არ მომწონს — პირველი არხი და აჭარის ტელევიზია.

— არ გაქვს სურვილი, საკუთარი ტელეარხი შექმნა? ბოლოს და ბოლოს, მისტერ ბინს გეძახიან...

— ჯერ არ მომიფიქრებია, რას გავაკეთებ ფეხბურთელის კარიერის შემდეგ. მთავარია, საკუთარი ამბიცია და ჟინი დავიკმაყოფილო.

— საქართველოს მეთხუთმეტე ეროვნულ ჩემპიონატს გლაზგოდან შეძლებისდაგვარად ადევნებდი თვალყურს — რა შთაბეჭდილება დაგრჩა?

— ძალიან მწყდება გული, „დინამო" ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა — გუნდს არაფერი აკლია, აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო პირობები აქვს და საქართველოს ჩემპიონი მაინც ვერ გახდა — „დინამოს" ასეთ დღეში ყოფნა ძნელი საყურებელია.

— განვლილ ჩემპიონატში სხვადასხვა კლუბებშიც და „დინამოშიც" რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა — მათზე რას იტყოდი?

— კარგია, რომ ჩვენში ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგრამ ეს საკმარისი არაა. აი, ხიზანიშვილი და ასათიანიც თავის დროზე ნიჭიერებად ითვლებოდნენ და დღეს ისინი უკვე მხოლოდ ნიჭიერები კი არა, მაგარი ფეხბურთელები არიან. ახალგამოჩენილ ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელებს კი მსურს ვუთხრა, რომ ყველაფერს მათ ფეხბურთი მოუტანს. მაცდურმა რაღაცეებმა არ უნდა გაჯობოს, თუმც ცხოვრებაში სულ ასე არ ხდება და თუ ცდუნებამ მაინც გაჯობა, ამან ჭკუა უნდა გასწავლოს.

— 31 წლის ხარ და ფეხბურთში უკვე საკმაო წარმატებებს მიაღწიე, ყველაზე უფრო ალბათ იმის წყალობით, რომ არაორდინალურად მოთამაშე ფორვარდი ხარ — ახალს და უჩვეულს რაღას უნდა ველოდოთ შოთა არველაძისგან?

— საქმე ისაა, რომ ფოკუსები მინდორზე თავისით მოდის. თუ ჯანმრთელად ხარ, ყველაფერი ფანტაზიის საკითხია. ასე რომ, ფოკუსები კიდევ იქნება.

დავით თავართქილაძე

არველაძის ერთ-ერთი ფოკუსი — ჭვინტი საბეში და მეკარე უვნებელია

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი

ნიჰათმა გოლისა მელბურნშიც დასძახა

ნიჰათი და თურქეთი მწვანეზე დაფდაფებენ

ამხანაგური მატჩი

ავსტრალია 0:1 თურქეთი

0:1 ნიჰათი (44)

თურქეთი: რუშთუ (ვოლქანი 46), ბიულენთი, სერჰათი, უმით ოზატი (კორაი 66), იბრაჰიმ უზულმეზი (ბარისი 46), სერქანი, იბრაჰიმ ტორამანი (სეიჰანი 76), ოკანი (ფათიჰ აკიელი 46), თუნქჩაი სანლი (მურატი 46), ჰაქან შუქური, ნიჰათი

მწვრთნელი: ერსუნ იანალი

ავსტრალიაში თურქთა ნაკრებმა მასპინძლებს მეორე ამხანაგურ მატჩშიც სძლია. პირველ შეხვედრაში ოსმალომ დამხვდურებს სამი გაუტანა, გუშინ მელბურნში კი კინკილათი მოუგო. ამგვარად, თურქეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელის ერსუნ იანალის დანიშვნის დღიდან მიჯრით სამი გამარჯვება დაუგროვდა.

„ჩემთვის მთავარია, თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობებში გავერკვე და ამის მიხედვით შევკრა გუნდი, რომელიც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს" — თქვა იანალმა ნამატჩევს.

ავსტრიელელებს არ ჰყავდათ ტრავმირებული მთავარმეკარე მარკ შვარცერი. პირველი ტაიმის მიწურულს ნიჰათმა მის შემცვლელ ზელკო კალაჩს საჯარიმო დარტყმით გაუტანა. სტადიონზე შეკრებილმა ათასამდე იქაურმა თურქმა ტაშფანდურა გამართა. 70-ე წუთზე მასპინძელ მცველ სტივ ლეიბატს შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან თავური ააცილა.

„ნიჰათი ფანტასტიკური ფეხბურთელია. მხოლოდ მისი დონის მოთამაშეებს სჩვევიათ ასეთი გოლების გატანა" — ავსტრალიელთა მწვრთნელმა ფრენკ ფარინამ მეტოქე შეაქო.

თურქეთის ნაკრები მწვანე კონტინენტიდან სამხრეთ კორეაში გაემგზავრება და ორ მატჩს იქაც გამართავს.

ვაჟა ხუციშვილი

ასათიანის წაგებაც სიმბოლურია

მეტალურგებს ახალი ბრიგადირი ეყოლებათ

ბერლინის „უნიონმა“ ბოლო თამაში ჩაატარა მეორე ბუნდესლიგაში და ისევ დამარცხდა. ამ შეხვედრაში „უნიონის“ მაისურას გამოეთხოვა ქართველი *დავით სირაძე*. ბერლინელებმა „ბურგჰაუზენთან“ სტუმრად 1:3 დათმეს და ახალ სეზონში რეგიონალლიგაში მოუწევთ ჯახირი. გარკვეულია ჩვენებურის ბედიც — სირაძეს „უნიონთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალ გუნდს ეძებს. „ბურგჰაუზენთან“ სირაძემ 90 წუთი ითამაშა და გაფრთხილებასაც გამოჰკრა ხელი. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის მეორებუნდესლიგური მონაგარი კი ასეთია: 12 თამაში და 1 გოლი. დათოსგან განსხვავებით, უფრო სოლიდურია აუელი *ხვიჩა შუბითიძის* შედეგი: 28 მატჩში გატანილი 8 გოლით ჩვენებური გუნდის ერთ-ერთი ბომბარდირი შეიქნა და, რაც მთავარია, აუე-მ სადებიუტო სეზონშივე შეძლო ლიგაში ფეხის მოკიდება. ერთიც: მეორე ბუნდესლიგაში დარჩენამ შუბითიძე იმითაც ახეირა, რომ კლუბმა ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტი შესთავაზა, რაზეც ხვიჩამ ხელი უკვე მოაწერა.

გავარდნის საშიშროება გრაცის „შტურმსაც“ ემუქრებოდა. გრაცელები ბოლო ტურამდე ჯახირობდნენ მაქსბუნდესლიგაში დასარჩენად და შეძლეს კიდეც — „შტურმმა“ 4:1 სძლია „ბრეგენცს“ და თავი გადაირჩინა. ამ მატჩში არ უთამაშია *დავით მუჯირს*, რომელიც თასის ნახევარფინალში დაშავდა და მართალია, უკვე ჯანზეა, მაგრამ მწვრთნელმა მაინც არ გარისკა.

სეზონი ჩაუვარდათ „ტვენტეს“ და გოგა გახოკიძეს. ჰოლანდიის თასის ფინალში „უტრეხტთან“ დამარცხებული ენსხედელების მთელი წლის ნაჯაფი ქარმა წაიღო. გახოკიძე ერთ-ერთი გამორჩეული იყო ფინალში, თუმც „ტვენტეს“ შველა ვერ შეძლო და გუნდს ასე უხასიათოდ ემშვიდობება.

ხუთი ქართველი რუსულ პრემიერლიგაში — ასეთი რამ წლეულს არ მომხდარა. რუსეთის ჩემპიონატში ქართული უქმეები იყო. თან ამ ხუთეულიდან სამმა ძირითადში და სრულად ითამაშა, *ოთარ ხიზანეიშვილს* კი სულაც დებიუტი ჰქონდა მოსკოვის „დინამოში“. სადღეისოდ რუსეთში ყველაზე მეტად *მალხაზ ასათიანი* ქართველობს. მართალია, „ლოკომოტივმა“ გუშინწინ ზედიზედ მეორედ წააგო, მაგრამ ასათიანი მაინც გამორჩეულია. „კრილიასთან“ მატჩში ჩვენებური საუკეთესოდ მიიჩნიეს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს, რაც მალხაზმა უკვე მეორედ მოახერხა.

მეთოთხმეტე გოლი გაიტანა გიორგი დემეტრაძემ. უკრაინის ჩემპიონატის ქართველმა ბომბარდირმა კიევის „არსენალს“ პენალტით შეუგდო. „დემეს“ დარად, სრულად ითამაშა *გოჩა ჯამარაულმაც.* დონეცკის „მეტალურგი“ კი ჯერაც ინარჩუნებს მეოთხე, უეფას თასზე გამსვლელ ადგილს. ამასობაში „მეტალურგს“ მწვრთნელიც შეეცვალა — ახალ სეზონში ჰოლანდიელი *ტომ კაანენის* ნაცვლად გუნდს ბელგრადული „ცრვენა ზვეზდას“ ყოფილი თავკაცი სლავოლუბ მუსლინი ჩაუდგა სათავეში.

გიორგი ნიკურაძე მყარად დამკვიდრდა „კოოტეპეში“. ფინური ვეიკაუსლიგიდან შარშან გავარდნილი, მაგრამ რაღაც ხერხებით მაინც დარჩენილი „კოოტეპე“ წლეულს ყინჩად გამოიყურება და სადღეისოდ მეოთხე ადგილზეა სატურნირო ცხრილში. ნიკურაძემ კი საბოლოოდ მოირჩინა ტრავმა და კარში შეუცვლელად დგას. ასე იყო „ჰაამენლინასთან“ მატჩშიც, რომელიც სტუმრებმა 1:0 მოიგეს.

რიგის „სკონტომაც“ 1:0 მოუგო მოძულე „ვენტსპილსს“ და ლიდერობა დაიბრუნა. „სკონტოში“, ცხადია, არ უთამაშია *ლევან კორღალიძეს*, რომელსაც ახლახან აქილევსის მყესის ოპერაცია გაუკეთეს და სექტემბრამდე იუქმებს. „ვენტსპილსთან“ რიგელებს ერთადერთი ქართველი, *ზურაბ მენთეშაშვილი* შეეწია, *გიორგი ყიფიანი* კი სათადარიგო იყო.

კახა შალამბერიძე

კრილია — ლოკომოტივი 1:0. მალხაზ ასათიანი (№30) სხვებს კი სჯობდა, მაგრამ მისმა „ლოკომოტივმა“ ზედიზედ მეორედ წააგო

ტვენტე — უტრეხტი 0:1. ფინალის ფინალი: „ტვენტემ“ და გოგა გახოკიძემ თასი დაკარგეს

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ვოლფსბურგი 1:1	0		29	0	7
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ბაიერნი 0:2	90		30	9	13
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	ს	ბაიერნი 0:2	90		29	4	13
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	შ	უნტერჰახინგი 3:3	0		28	8	8
დავით სირაძე	უნიონი	ს	ბურგჰაუზენი 1:3	90	გააფრთხილეს	12	1	17
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	შ	ბრეგენცი 4:1	0	სათადარიგო	27	1	9
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	აარაუ	ს	ციურიხი 1:4	90	1 გოლი	16	9	8
ჰოლანდია. თასის ფინალი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ნ	უტრეხტი 0:1	90				
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	კრილია 0:1	90		7	0	4
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	კრილია 0:1	45	შეცვლაზე ითამაშა	10	0	4
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	კრილია 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	4
ვიტალი დარასელია	ალანია	ს	სპარტაკი 1:0	0	ტრავმირებულია	4	1	6
ლევან გვაზავა	ალანია	ს	სპარტაკი 1:0	0	ტრავმირებულია	5	0	6
რატი ალექსიძე	როსტოვი	ს	დინამო 1:0	30	შეცვლაზე ითამაშა	5	0	13
მამუკა ლომიძე	როსტოვი	ს	დინამო 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	13
გიორგი ლომაია	სპარტაკი	შ	ალანია 0:1	90		2	0	10
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	შ	როსტოვი 0:1	90		1	0	8
დავით ნაკანი	ტორპედო	შ	როტორი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
კახა ცხადაძე	ანჟი	ს	ლისმა-მორდოვია 3:1	0	ტრავმირებულია	3	0	10
კახა მაკავანაძე	ანჟი	ს	ლისმა-მორდოვია 3:1	90		10	0	10
ედიკ საჯაია	არსენალი	ს	კამაზ 0:2	45	შეცვალეს	9	0	11
გიზო ჯელაძე	სოკოლი	ს	ურალანი 0:1	0	სათადარიგო	8	0	5
ზურაბ ფოფხაძე	მ. კუზბასი	ს	ლოკომოტივი 0:1	0		5	0	22
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	ლოკომოტივი 0:1	0	ტრავმირებულია	1	0	22
ვასილ გიგიაძე	ურალანი	შ	სოკოლი 1:0	50	შეცვლაზე ითამაშა, შეცვალეს	6	0	12
პაატა ჯინჭარაძე	ნეფტეხიმიკი	შ	ორიოლი 2:2	45	შეცვლაზეითამაშა, 1 გოლი,გააფრთ.	4	1	20
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	ს	არსენალი 3:2	90		25	1	4
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	არსენალი 3:2	90	1 გოლი	24	14	4
ალექსანდრე ამისულაშვილი	დინამო	ს	დნიპრო 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
ზურაბ იონანიძე	ტავრია	ს	ვოლინი 1:1	0	სათადარიგო	17	2	14
გია ჭანტურია	ტავრია	ს	ვოლინი 1:1	90		9	0	14
გიორგი იმედაძე	ტავრია	ს	ვოლინი 1:1	0	სათადარიგო	9	1	14
კახა ჩხეტიანი	ტავრია	ს	ვოლინი 1:1	90	გააფრთხილეს	11	0	14
ზვიად ჩხეტიანი	ტავრია	ს	ვოლინი 1:1	0		0	0	14
გოჩა ტრაპაიძე	ვოლინი	შ	ტავრია 1:1	0	სათადარიგო	3	0	11
გელა შეყილაძე	არსენალი	შ	მ. დონეცკი 2:3	0	ტრავმირებულია	11	0	6
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ამიკა	ს	კატოვიცე 0:0	0	ტრავმირებულია	20	1	3
ფინეთი. ვეიკაუსლიგა								
გიორგი ნიკურაძე	კტპ	ს	ჰაამენლინა 1:0	90		3	0	4
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორღალიძე	სკონტო	შ	ვენტსპილსი 1:0	0	ტრავმირებულია	7	3	1
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	შ	ვენტსპილსი 1:0	90		9	2	1
გიორგი ყიფიანი	სკონტო	შ	ვენტსპილსი 1:0	0	სათადარიგო	3	0	1
თამაზ პერტია	დინაბურგი	ს	მეტალურგსი 1:2	82	შეცვალეს	9	0	4
ყაზახეთი. სუპერლიგა								
კახა კვეტენაძე	ორდაბასი	ს	შახტიორი 0:1	90	გააფრთხილეს	8	0	4
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი	შ	აკჟაიკი 1:1	0	დისკვალიფიცირებული იყო	6	0	3
ლევან ბაჯელიძე	ატირაუ		ტური გამოტოვა			5	0	5

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ევრო-2004 . A ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი

12 ივნისს პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატი იწყება და, ცხადია, შეჯიბრისთვის, რომელსაც ოთხი წელი ველოდით, მხოლოდ მონაწილე გუნდები არ ემზადებიან. ვემზადებით ჩვენც. დღეიდან წარმოგიდგენთ ჩემპიონატში მონაწილე ნაკრებებს ჯგუფების მიხედვით. 12 ივნისიდან კი ჩავუსხდეთ.

ასპუნა ჭელია

განრიგი

12 ივნისი
პორტუ. „დრაგაუ". 21.00
პორტუგალია – საბერძნეთი
16 ივნისი
ლისაბონი. „ლუზი". 23.45
რუსეთი – პორტუგალია
20 ივნისი
ლისაბონი.
„ჟოზე ალვალადე". 23.45
ესპანეთი – პორტუგალია

თავმოყვარე მასპინძელი ბრაზილიელი თამაღით

მერე რა, რომ ამხანაგურ თამაშებში დიდი ვერაფერი აჩვენა, ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი პორტუგალია მაინც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. თან, ბუნებრივია, უმუალოდ ევრო 2004-ის შეხვედრებში პორტუგალიელები სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებენ და თავიანთი ქომაგების წინაშე მოწადინებაც სხვა ექნებათ.

ამასწინათ, გუნდის ბრაზილიელმა მწვრთნელმა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ თქვა: „სულ მცირე, რასაც ჩემს ფეხბურთელებს ვთხოვ, ნახევარფინალში გასვლაა. ოთხ საუკეთესო გუნდს შორის რომ ვერ მოვხვდეთ, დიდი სირცხვილი იქნება. ჩემპიონობა კი ძნელია, თუმც, სულაც არ არის შეუძლებელი".

სკოლარის დაეჯერება. მან ბრაზილიის ნაკრები 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონად გახადა და, შესაბამისად, წამყვანი თუ მეორეხარისხოვანი ფეხბურთელების საერთაშორისო ტრიუმფამდე მიყვანის საიდუმლო ძალიან კარგად იცის. ბრაზილიელთა თავკაცობიდან გადადგომის მერე დიდმა ფილმა პორტუგალიის შეფობა ითავა და დღეს უკვე წელიწადზე მეტია, რაც ახალ ქვეყანასა და გუნდს ემსახურება. მის ხელში პორტუგალიამ შვიდჯერ მოიგო, ხუთჯერ ფრედ ითამაშა, ხოლო ორჯერ წააგო. როგორი იყო ეს მატჩები? ცუდი ან შემოქმედებით ნაპერწკალს მოკლებული, ასე ვთქვათ, ხელოსნური. მათგან ყველაზე უარესი კი გახლდათ სექტემბერში ესპანელებთან 0:3-ის წაგება. იმ დღეს სკოლარიმ ბრძანა:

„ჩვენ პოზიციების შერჩევასა და სივრცეების გამოყენებაში ბევრი შეცდომა დავუშვით. პასების დიდი ნაწილიც საძაგელი გვქონდა და ესპანელებმა ყოველივე ამის გამო დაგვსაჯეს".

მეორე მხრივ, ისეც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ დიდი ფილის ხელში პორტუგალია არაფრად ვარგა. პირიქით, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის პირველივე ეტაპიდან უსახელოდ გამოვარდნის შემდეგ, სკოლარიმ გუნდს საკუთარი თავის რწმენა შემატა, ხოლო ბრაზილიას უბრალოდ დიდებულად მოუგო 2:1.

შემდეგ იყო 1:1 ინგლისთან. ცნობისთვის: პორტუგალია ინგლისს შეიძლება მეოთხედფინალში შეხვდეს. ამ შეხვედრაში კაცმა რომ თქვას, ოპტიმიზმის საფუძველი უფრო იყო, ვიდრე პესიმიზმისა. ეჭვები პორტუგალიელთა მიმართ მხოლოდ მეორე ტაიმში, შეცვლების მერე გაჩნდა, ზოგადად კი დაცვა მტკიცედ იდგა, ხოლო წინ ლუიშ ფიგუმ, პაულეტამ, სიმაო საბროსამ და რუი .კოშტამ ინგლისელები გვარიანად გასარჯეს, რასაც ვერ ვიტყვით იმაზე, რაც 31 მარტს ვნახეთ, როდესაც მათ იტალიამ აჯობა 2:1.

ერთი ყურადსაღები ამბავიც: რაც სკოლარი პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელია, გუნდმა შვიდჯერ ითამაშა ევრო 2004-ის ფინალური ეტაპის ამა თუ იმ მონაწილესთან და ერთსაც ვერ მოუგო.

კეთილი, მაგრამ „ბოლო შანსს" რა გინდა უქნა? აქ ლაპარაკია იმაზე, რომ პორტუგალიელ ფეხბურთელთა ეგრეთ წოდებული ოქროს თაობა, მსოფლიოს ჩემპიონები იუნიორთა შორის 1989 და 1991 წლებში, ალბათ ბოლოჯერ იკრიბება ქვეყნის ეროვნული გუნდის ბირთვის რანგში. მართლაცდა, ფიგუმ ერთი ხნის წინ სადღაც თქვა, 2004 წელს ნაკრებიდან წავალო, თუმცა შემდეგ ეს აღარ გაუმეორებია. კიდევ შეგვიძლია დავასახელოთ „ლაციოს" მცველი ფერნანდო კოუტუ და „მილანის" გამთამაშებელი რუი კოშტა, რომლებიც ასაკის გამო 2006 წლის მუნდიალზე, ალბათ, აღარ ითამაშებენ.

თუმცა სკოლარის განკარგულებაში იქნებიან სხვა ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელებიც. მაგალითად, პაულეტა, სიმაო საბროსა, ჟორჟე ანდრადე და ყმაწვილი კრისტიანო რონალდო „მანჩესტერ იუნაიტედიდან".

ევრო 2004-ზე პირველ თამაშს პორტუგალია ბერძნებთან გამართავს და ეს იქნება ფიგუს მე-100 მატჩი ნაკრებში.

რა ნაკლი აქვს პორტუგალიის ნაკრებს? ამბობენ, გოლების გამტანი კაცი მაინც აკლიათ, მაგრამ თუ პაულეტა ისეთივე ფორმაში იქნება, ბოლო პერიოდში რომ იყო, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს პრობლემაც სინამდვილეში პრობლემა არ არის.

და რა არის გუნდის მთავარი პლუსი? ცხადია, ჩემპიონატის მასპინძლობა. ოღონდ ეგ არის, სტატისტიკა მეტყველებს, რომ მასპინძლის გუნდი ბოლოს 20 წლის წინ, 1984-ში იყო ჩემპიონი და ისიც მიშელ პლატინის დროინდელი საფრანგეთის დიდი ნაკრები გახლდათ.

ერთი სიტყვით ვნახოთ.

მეკარეები



კიმ სილვა	ბრაგა
ჟოზე მორეირა	ბენფიკა, ლისაბონი
რიკარდუ პერეირა	სპორტინგი, ლისაბონი

მცველები

პაულუ ფერეირა	პორტუ
ფერნანდუ კოუტუ	ლაციო, იტალია
ჟორჟე ანდრადე	დეპორტივო, ესპანეთი
მიგელ მონტეირუ	ბენფიკა, ლისაბონი
ნუნუ ვალენტე	პორტუ
რიკარდუ კარვალიუ	პორტუ
ბეტუ სეევერუ	სპორტინგი, ლისაბონი
რუი ჟორჟე	სპორტინგი, ლისაბონი

ნახევარმცველები

დეკო სოუზა	პორტუ
არმანდუ პეტიტი	ბენფიკა, ლისაბონი
ფრანსისკო კოშტინია	პორტუ
მანიშე რიბეირუ	პორტუ
ტიაგუ მენდეში	ბენფიკა, ლისაბონი
მანუელ რუი კოშტა	მილანი, იტალია
ლუიშ ფიგუ	რეალი, ესპანეთი

თავდამსხმელები

პედრუ პაულეტა	პსჟ, საფრანგეთი
ნუნუ გომეში	ბენფიკა, ლისაბონი
კრისტიანო რონალდო	მანჩესტერ იუნ, ინგლისი
ელდერ პოსტიგა	ტოტენჰემი, ინგლისი
სიმაო საბროსა	ბენფიკა, ლისაბონი

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

პორტუგალია პირველ ევრომატჩს საბერძნეთთან პორტუს „დრაგაუზე" გამართავს

ევრო-2004 . A ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი

უფროსი სერჟანტი

ლუიშ ფელიპე სკოლარის ერთი, რომ დიად ზე დიადი ჯილდოების დაგროვება შეუძლია და მეორეც, თუ მართლა შეძლო და პორტუგალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა, დახეთ, რა ჯადოქარი მწვრთნელის სახელით დამკვიდრდება მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში — სკოლარი ხომ ის კაცია, ვინც ორი წლის წინ ბრაზილიაში ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა

მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ორი წლის წინანდელ ბრაზილიასა და დღევანდელ პორტუგალიას შორის დიდი განსხვავებაა — ბრაზილიაში თამაშობდნენ რონალდო, რივალდო, რონალდინიო და რობერტო კარლოსი, ჰლუს ისინი პორტუგალიელებისგან განსხვავებით აბსოლუტურად თავდაჯერებულნი იყვნენ. დიახ, პორტუგალია საფეხბურთო ქვეყანაა, რომელსაც მსოფლიოსთვის დიდი ვარსკვლავები აღუზრდია, მაგრამ თავად ვერა და ვერ მოუგია დიდი სანაკრებო ჯილდო.

სკოლარიზე ამბობენ, ოქროს შეხება იცის, ანუ რასაც შეეხება, ოქროდ აქცევსო. გავიხსენოთ, ქუვეითს ყურის თასი მოაგებინა, ბრაზილიურ კლუბებს, „პალმეირასსა“ და „გრემიოს“ ლიბერტადორესის თასი, ბრაზილიის ნაკრებზე კი თავშივე ვთქვით.

„პორტუგალიაში არ ჩამოვიდოდი, ევროპის ჩემპიონობის იმედი რომ არ მქონდეს. ვფიქრობ, ჩემს ტიტულებს ესეც რომ მივამატო, დიდებული იქნება“ — ამბობდა დიდი ფილი ევროპაში გადმობარგების შემდეგ.

მაგრამ თავიდან სკოლარის საქმე მთლად კარგად ვერ წავიდა: იტალიასთან 0:1 წაგების შემდეგ მწვრთნელი ლუიშ ფიგუმ და რუი კოშტამ აკრიტიკეს სერიოზულად. მათი აღშფოთების მიზეზი იმდენად მატჩის შედეგი არ იყო, რამდენადაც გაპორტუგალიელებული ბრაზილიელის, დეკო სოუზას ნაკრებში მიწვევა. ფიგუ და რუი კოშტა ამტკიცებდნენ, რომ პორტუგალიელებს უცხოელის ნაკრებში მოსაწვევი არაფერი სჭირთ.

„ფეხბურთელების შერჩევა მე მევალება და არა მათ. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, ვისაც თამაში უნდა, ითამაშოს, ვისაც არა და კარი ღიაა“ — გრგვინავდა მაშინ დიდი ფილი.

და სკოლარიმ მარტში, ბრაზილიასთან შეხვედრაში ფიგუ სათადარიგოთა სკამზე დასვა, ხოლო მოედანზე დეკო დაჰქროდა — პორტუგალიამ 2:1 მოიგო.

კიდევ რა ვიცით სკოლარის შესახებ?

ის, რომ ბრაზილიაში, კლუბებში მუშაობისას მსაჯებს სათადარიგოთა სკამიდან გაუძეგებიათ, მიზეზი: თავის ფეხბურთელებს მეტოქეების დამტვრევისკენ მოუწოდებდა. ყოფილა, თავადაც გაწეულა მოწინააღმდეგეების საცემად.

ამასწინათ, სკოლარიმ „ჟორნალ დუ ბრაზილს“ მისცა ინტერვიუ. მოვიტანოთ ციტატები:

...ევროპაში ტაქტიკური დისციპლინა ჩვენზე მეტია, მაგრამ გინდათ მთავარი განსხვავება გითხრათ? როდესაც ევროპელ ფეხბურთელს ფეხბურთზე ელაპარაკები, მის თვალებში ნაპერწკალს ვერ ხედავ, ის ცივია. ცხადია, მათ შორის დიდებული მოთამაშეები არიან, მაგრამ ბრაზილიელებს ვერავინ აჯობებს.

...ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დავჯდები და მიღებულ შემოთავაზებებს გავეცნობი. მაგალითად, სამხრეთ კორეის წინადადებაზე დავფიქრდები.

...თუ პორტუგალია ევროპის ჩემპიონატზე ორ ეტაპს გაივლის, მაშინ ჩემპიონობის პრეტენზიაც რეალურად გაუჩნდება.

...რონალდოს კრიტიკას არ ვაპირებ, უბრალოდ თავხედს ვუწოდებ, რადგან თუ ეთანხმები, გელაპარაკება, თუ არ ეთანხმები, არა. მახსოვს, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ვარჯიშზე ერთ-ერთი ფეხბურთელის მეურვეობა დავავალე და დაიჯღანა. თავი მოვიკატუნე, თითქოს არ დამინახავს, რადგან ასეთ დიდ მოთამაშესთან კონფლიქტის დრო აღარ იყო. მეორე მხრივ, რონალდო ძალიან ჭკვიანია და მაშინვე მიხვდა, მე ამას მისი და მისი გუნდის ტრიუმფისთვის ვაკეთებდი.

...მენატრება ბრაზილიაში მუშაობა. მეძახეთ უფროსი სერჟანტი, კი ბატონო, მაგრამ რა ვქნა, თუ ფეხბურთელებს სიმკაცრის გარეშე ვერ მოთოკავ. ჩვენთან ძალიან ბევრი პლაჟი და ცდუნებაა. მუშაობა კი ეზარებათ.

ბოლო შანსია, ლუიშ!



ლუიშ ფიგუ დიდი ფეხბურთელია, ვარსკვლავია, ტიტულოვანია, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად კარიერის უბედნიერესი დღე შეიძლება მხოლოდ ახლა, 31 წლისას დაუდგეს. საქმე ის გახლავთ, რომ მისი ყველა ჯილდო საკლუბოა... თუმცა არა, არის ერთი პირადიც: ფიგუ 2001 წელს ფიფამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. მაგრამ ასეა თუ ისე, სანაკრებო ჯილდო ფიგუს არ აქვს.

არადა, მას პორტუგალიის ეროვნულ გუნდში უკვე 100 თამაში დაუგროვდა, მსოფლიოში თავისი ქვეყნის სახე და ეუსებიოს შემდეგი ეპოქის უდიადესი მოთამაშეა. ერთი სიტყვით, ფიგუს ცხოვრებაში ბოლო შანსია.

და რა ვიცით, რომ ბოლო შანსია? თავად წამოცდა, თუმცა შემდეგ რაღაც საპირისპიროც თქვა. მოკლედ, არივ-დარია ყველაფერი, თუმცა ჩვენ ხომ ვხედებით, რომ თუ პორტუგალია ახლა შინ ვერ მიაღწევს მიზანს, მერე ყველაფერი ორმაგად და ასმაგად გაძნელდება. მერე ქვეყანა ახალ ოქროს თაობას უნდა ელოდოს.

ლუიშ ფიგუ დაიბადა 1972 წელს, მდინარე ტაგუსის სამხრეთ ნაპირზე, ლისაბონის ინდუსტრიულ ნაწილში და „სპორტინგში“ დაიწყო თამაში. 1991 წელს მან პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიგო, 1995 წელს კი „ბარსელონაში“ გადავიდა.

„კამპ ნოუზე“ ფიგუმ ხუთი ბრწყინვალე სეზონი გაატარა და როდესაც კინაღამ ევროპის ყველაზე გამანადგურებელ თავდამსხმელად აღიარეს, „რეალში“ გადავიდა. მასში მადრიდელებმა 56 მილიონი დოლარი გადაიხადეს.

„რეალში“ გადასვლის წინ, ევრო 2000-ზე, ფიგუ და პორტუგალიის ნაკრები ნახევარფინალში გავიდნენ.

შემდეგ, „რეალში“ ფიგუ ჯერ ესპანეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო მომდევნო წელიწადს ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

„მადრიდში“ სწორედ ჩემნაირი ფეხბურთელია საჭირო. მე 80 წუთი უქმად არ ვდგევარ და მერე ერთი გოლი არ გამაქვს, მე მთელი თამაშის განმავლობაში მუხლჩაუხრელად ვმუშაობ“ — ამბობს ვარსკვლავი.



ფიგუს მემკვიდრე

ტრავმების გრძელი ჯაჭვი, როგორც ჩანს, დასრულდა. დღეს გარემარბი სიმაო საბროსა ევრო 2004-ზე მიდის და შეეცდება მთელ ქვეყანას დაუმტკიცოს, რომ ლუიშ ფიგუს მემკვიდრეობა მისთვის ცოტაა.

სიმაო ბურთით ჩინებულად ჯამბაზობს და ბუნებრივია, როდესაც 1998 წელს ნაკრებში აიყვანეს, ხალხმა ხელად ფიგუს მემკვიდრე უწოდა, ოღონდ ეგაა, მემკვიდრის რანგში რაღაც დიდხანს დარჩა. თავიდან მუხლის მყესების საზიზღარმა ტრავმამ არ გაუშვა.

მაგრამ დღეს სიმაო ჯანზეა. 2001 წელს „ბენფიკაში“ გადასვლამ მასზე, როგორც ჩანს, კარგად იმოქმედა და ამბობენ, ახლა რომ დაფრინავს, ასე არასდროს უფრენიაო.

2002 წელს სიმაო საბროსას ყიდვა „ნიუკასლ იუნაიტედს“ უნდოდა და მაშინ ინგლისელთა მწვრთნელმა, მრავლისმცოდნე ბობი რობსონმა ასე ბრძანა:

„ის დიადი მოთამაშეა, სწრაფად აენთება ხოლმე“.

ის, რომ სიმაო ფეხით თამაშში საოცრად გაწაფულია, ყველამ იმთავითვე იცოდა, მაგრამ ფეხს გონებასაც ასე სხარტად თუ აყოლებდა, ბევრისთვის უცნობი გახლდათ. ლისაბონის „სპორტინგის“ აღზრდილი 1999 წელს ფიგუს კვალს გაჰყვა, „ბარსაში“ გადავიდა. მასში კატალონიელებმა 15,5 მილიონი დოლარი გადაიხადეს, მაგრამ „ბარსას“ მაშინდელმა მწვრთნელმა, ლუის ვან გაალმა შეამჩნია, რომ გარემარბის დრიბლიორობას მისი პასები და კარში დარტყმები ძალიან ჩამოუვარდება. ერთი სიტყვით, სიმაო ვან გაალმა იმ სეზონში მხოლოდ 12-ჯერ შეუშვა მოედანზე.

2000 წელს ფიგუ „რეალში“ წავიდა და „კამპ ნოუზე“ მარჯვენა ფრთა გაათავისუფლა, მაგრამ რად გინდა, კატალონიელებმა პორტუგალიელს მაინც არ ანდეს იქ ნავარდი და გადავიდა კიდეც „ბენფიკაში“ 16,01 მილიონ დოლარად.

გასულ სეზონში სიმაო საბროსამ 18 გოლი გაიტანა და პორტუგალიის ჩემპიონატის თანაბომბარდირი გახდა. ახლახან კი „ბენფიკასთან“ 2010 წლამდეც მოაწერა კონტრაქტს ხელი.

აზორელი ქორი

პაულეტა რესენდესი ეგრეთ წოდებულ „ოქროს თაობას“ არ ეკუთვნის, მაგრამ ამ თაობას შესაძლოა, ისეთი ოქროს საქმე გაუკეთოს, რომ თქვენი მოწონებული — მერე იტყვიან ევროპის ჩემპიონი ის თაობა გახდაო.

მისი ნამდვილი გვარ-სახელია პედრუ მიგელ კარეირო რესენდესი. ის 1973 წელს აპრილში, ლისაბონიდან 1 500 კილომეტრით შორს, აზორის კუნძულებზე დაიბადა და ამიტომაც ვერ მოხვდა ვერც ერთ იმ გუნდთაგანში, რომლებმაც 1989 და 1991 წლებში პორტუგალიის სახელით მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონობა მოიპოვეს.

მაგრამ სადაც გინდა დაიბადო, თუ ბედი გწყალობს, შენს გზას იპოვნი. პაულეტამ საფრანგეთშიც გაითქვა სახელი და ესპანეთშიც შეაყვარა თავი საზოგადოებას. პირველად ის 1996 წელს წავიდა უცხოეთში, „სალამანკას“ წევრი გახდა და ორ სეზონში 34 გოლი შეაგდო, ხოლო შემდეგ „დეპორტივო ლა კორუნიაში“ გადაბარგდა და ესპანეთის ჩემპიონობა მოიგო. „დეპორიდან“ პაულეტა ფრანგულმა „ბორდომ“ იყიდა. ეს 2000 წელს მოხდა.

„ბორდოში“ პაულეტამ დიდებულად ითამაშა. სამ სეზონში მან 65 გოლი ვაუტანა მეტოქეებს და ორჯერ წლის საუკეთესო ფეხბურთელობა დაიმსახურა. შემდეგ კი „პარი სენ ჟერმენში“ წავიდა.

ცენტრიდან შორს დაბადებულმა ნაკრებშიც გვიან შედგა ფეხი, 1997 წელს სომხეთთან ითამაშა პირველად. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე — შეგახსენებთ, რომ პორტუგალიის ნაკრები იქ ნახევარფინალში გავიდა — პაულეტა შეუჩნეველი ფიგურა იყო, 2002-ის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში კი 10 შეხვედრაში რვა გოლი გაიტანა.

იქ, მუნდიალზე, პაულეტამ პოლონელებს (4:0) სამი გოლი გაუტანა, მაგრამ მოგეხსენებათ, პორტუგალია პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა შეჯიბრებას.

მუნდიალის შემდეგ იგი უკვე გუნდის მთავარ ფორვარდად მკვიდრდება და დღეითვის ეუსებიოს და ფიგუს შემდეგ ნაკრების ისტორიაში მესამე ბომბარდრია.

„ის ხალხი, ვისაც ჩემი სწამს, ყოველთვის მოგებული დარჩება“ — ამბობს პაულეტა და გოლს ყოველთვის ასე ზეიმობს: ხელებს ჰაერში მოლივლივე ქორივით შლის, ასეთი ქორი აზორის ეროვნული სიმბოლოა.

მეხუთემ მეოთხე იცის

REUTERS მადრიდიდან

„რეალი“ — „სოსიედადი“. რაულმა და „რეალმა“ თავი შეირცხვინეს

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი XXXVIII ტური

ვალენსია 0:1 ალბასეტე

0:1 არანდა (65)

ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, რ. აიალა (დავიდ ნავარო 85), კარბონი, კურო ტორესი, ხორხე ლოპესი, სიხოკო, ანგულო (მარჩენა 74), ხუან სანჩესი (ოლივეირა 66), მისტა, ხისკო

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ალბასეტე: ალმუნია, ოსკარი, ბუადესი (ფ. ნავარო 46), პენია, პაბლო, პარი, კ. მუნტიანუ, ალვარო, გ. რედონდო, არანდა (მიკელი 67), ბასტი (პრუდენი 57)

მწვრთნელი: სეზარ ფერანდო

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

50 000 მაყურებელი

სარაგოსა 2:1 ბარსელონა

0:1 სავიოლა (9), 1:1 ჩანი (42), 2:1 სორიანო (59)

სარაგოსა: ზაპარაინი, რებოსიო (სორიანო 46), ალვარო, მილიტო, ტოლედო (დავიდ პირი 73), ჩანი, პონციო, მოვილია, ხენერელო, დანი, ვილა (იორდი 68)

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

ბარსელონა: ვ. ვალდესი, რაიციგერი (ოვერმარსი 69), მარკესი (კლუივერტი 76), ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, კოკუ, დავიდსი (მოტა 78), გაბრი, რონალდინიო, სავიოლა

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: გაბრი, ალვარო

მსაჯი: რამირეს დომინგესი

32 000 მაყურებელი

რასინგი 0:1 დეპორტივო

0:1 პანდიანი (22)

რასინგი: აუატე, პაბლო კასარი (მორა 32), კრისტიან ალვარესი, აიოზე, ხუანმა, ნაფტი, მატეო, აფეკი (რაული 87), ხავი გერერო, ბენაიუნი, ხონათანი (მორანი 66)

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

დეპორტივო: მუნუა (სონგო 83), ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, პაბლო ამო, ექტორი, სერხიო, ფრანი, ამავისკა (ივან პერესი 75), ვალერონი (მანუელ პაბლო 60), პანდიანი, მუნიტისი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

მსაჯი: ტრისტანტე ოლივა

13 906 მაყურებელი

რეალი 1:4 სოსიედადი

0:1 კოვაჩევიჩი (13), 0:2 ხაბიერ პრიეტო (28), 0:3 დე პაულა (32), 1:3 ფიგუ (38პ), 1:4 ხაბიერ პრიეტო (60)

რეალი: სესარი, ბორხა (ნუნიესი 51), მეხია, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ი. ელგერა, ხორდი, სოლარი (პორტილიო 75), რაული, რონალდო

მწვრთნელი: კარლუშ კეირუში

სოსიედადი: ვესტერფელდი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, პოტილიონი, ბორისი, კარპინი, ალკისა, ხაბიერ პრიეტო, კოვაჩევიჩი, დე პაულა (გაბილონდო 81)

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

გაფრთხილება: სოლარი, პოტილიონი, რონალდო, კოვაჩევიჩი, ფიგუ, კარპინი

მსაჯი: პინო სამორანო

50 000 მაყურებელი

ბილბაო 3:4 ატლეტიკო

1:0 ირაოლა (19), 1:1 იბაგასა (25), 1:2 დე ლოს სანტოსი (31), 1:3 ტორესი (35), 2:3 არიაგა (52), 2:4 ტორესი (80), 3:4 არიაგა (88)

ბილბაო: ლაფუენტე, მურილიო, ლარაბალი (ფელიპე 62), ლუის პრიეტო, ორბაისი, ბორდასი, იულენ გერერო (იესტე 78), ხავი გონსალესი, ირაოლა, ურსაისი (ესკერო 67), არიაგა

მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

ატლეტიკო: არაგონესესი, გარსია კალვო, სერხი, ლეკი, დე ლოს სანტოსი (ხორხე 89), აგილერა, ნანო (მუსამპა 86), იბაგასა, ნოვო (სიმეონე 87), ფ. ტორესი, პაუნოვიჩი

მწვრთნელი: გრეგორიო მასანო

გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, ბორდასი, ტორესი, ნოვო

მსაჯი: პუენტეს ლეირა

35 000 მაყურებელი

სევილია 1:0 ოსასუნა

1:0 ბაპტისტა (54)

სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, ხ. რედონდო, ანტონიო ლოპესი, პაბლო ალფარო, მარტი, ბაპტისტა, კასკერო (ალტორ ოსიო 89), ორნოსი (კარლოსი 65)

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

ოსასუნა: ელია, ისკიერდო, ა. ლოპესი, კრუჩაგა, კუელიარი, პუნიალი, მოა, ვალდო, მუნიოსი, მორალესი (ბაკაიოკო 63), ალოიზი (ვებო 63)

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

გაფრთხილება: პუნიალი, ვალდო, მოა, მარტი, დანიელ ალვესი, ა. ლოპესი, ვებო, კარლოსი, ესტებანი

გაძევება: პაბლო ალფარო (89), ბაკაიოკო (89)

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

45 500 მაყურებელი

ვალიადოლიდი 3:0 ვილიარეალი

1:0, 2:0 ლოსადა (31, 80), 3:0 კამინერო (85)

ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, ხოანათანი, ოსკარ სანჩესი, ჟულიო სეზარი, ოსკარი (კამინერო 84), საპატა, ფიგერედო, ფერნანდო სალესი (მორე 77), სოუზა (ჩემა 83), ლოსადა

მწვრთნელი: ანტონიო სანტოსი

ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, კოლოჩინი, კიკე ალვარესი, ბელეტი, ხოსიკო, რიკელმე, ბატალია (ვიქტორი 78), როხერი (სენა 57), ს. ანდერსონი, ხოსე მარი

მწვრთნელი: ფრანსისკო გარსია პაკეტო

გაფრთხილება: არუაბარენა, ფიგერედო, ხოსე მარი, საპატა

გაძევება: ხოსე მარი (72)

მსაჯი: ესკინას ტორესი

15 000 მაყურებელი

მალაგა 2:3 ბეტისი

1:0 სალვა (20), 2:0 კანაბალი (44), 2:1 დანი (62), 2:2 ხუანტიო (69), 2:3 დანი (87)

სალვამ ვერ გაიტანა პენალტი (20, მეკარე)

მალაგა: არნაუ, ხოსემი (მანუ 60; ლუკე 74), ლიტოსი, ფ. სანსი, ხერარდო, ინსუა, ლეკო, დუდა, მიგელ ანხელი, სალვა, კანაბალი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

ბეტისი: კონტრერასი (რელანიო 81), ხუანიტო, რივასი, ვარელა, არზუ, ფერნანდო (კანიასი 76), იტო, ისმაელი (დენილსონი 66), ხოაკინი, ბენხამინი, დანი

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: დანი, ლიტოსი, ვარელა

მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

20 000 მაყურებელი

ესპანიოლი 2:0 მურსია

1:0 ტამუდო (71), 2:0 ლოპო (80)

ესპანიოლი: ლემენსი, ვომე, ლოპო, ტორიჩელი (ველამასანი 64), პოჩეტინო, მორალესი, დე ლა პენია, მაქსი (რადუჩანუ 56), ფრედსონი, მ. პაჯი (დომორო 73), ტამუდო

მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი

მურსია: სანჩეს ბროტო, ურტადო, ხუანმა (კინტანა 77), კუადრადო, მასიელი (ტატო 77), ასკარატე, განსედო, დ. იენსენი, დ. კარანკა, ლუის გარსია, რიჩი (ვალერა 46)

მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი

გაფრთხილება: ტორიჩელი, კუადრადო, დე ლა პენია, რადუჩანუ, რადუჩანუ, იენსენი, კინტანა

გაძევება: რადუჩანუ (81)

მსაჯი: მეხია დავილა

51 700 მაყურებელი

სელტა 1:2 ვალიორკა

0:1 ნენე (86), 0:2 ხესუს პერერა (89), 1:2 ხანდრო (90)

ედუმ ვერ გაიტანა პენალტი (65, ალილა)

სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ანხელი (ხანდრო 87), ხუანფრანი, სერხიო, გუსტავო ლოპესი (სილვინიო 74), ლუქსენი, ოუბინია, მილოშევიჩი (პინილია 56), ედუ

მწვრთნელი: რამონ კარნერო

ვალიორკა: მიკი, ლუსენჰოფი (რამისი 75), კორტესი, პოლი, ნადალი, კამპანო, პერეირა (ნაგორე 56), ნენე, მარკოსი (კოლსა 51), ბრუგინკი, ხესუს პერერა

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

გაფრთხილება: პერეირა, ლუსენჰოფი

მსაჯი: რუბინოს პერესი

19 000 მაყურებელი

თავიდან მთავარი ვთქვათ — ჩემპიონი „ვალენსიაა“. მის გარდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ბარსელონა“ ითამაშებს. „დეპორტივოს“ და „რეალს“ კი საამისოდ კვალიფიკაციის გავლა მოუწევთ. უეფას თასზე ითამაშებენ თასის მფლობელი „სარაგოსა“ და ჩემპიონატში მეხუთე-მეექვსე ადგილებზე გასულები „ბილბაო“ და „სევილია. „ატლეტიკოს“ და „ვილიარეალს“ კი ინტერტოტო შერჩათ. თუმცა, „ვილიარეალი“ საამსეზონო უეფას თასის ნახევარფინალშიც სწორედ ინტერტოტოდან გაძვრა.

ბომბარდირები	
რონალდო (რეალი)	24
ბაპტისტა (სევილია)	20
მისტა (ვალენსია)	19
სალვა (მალაგა)	19
ტამუდო (ესპანიოლი)	19
ტორესი (ატლეტიკო)	19

ადრევე გაკარდნილ „მურსიას“ კი სეგუნდადივიზიონში „სელტა“ და „ვალიადოლიდი“ გადაფრინეს.

„ვალენსიამ“ გამარჯვებულის ფიქინით ჩაუარა თავის ბენდიმატკივრებს და გულთან ახლოს აღ მიუტანია ბოლო ტურის არაფრისმომცემ მატჩში „ალბასეტესთან“ მარცხი. ამ თამაშში ერთადერთი გოლი კარლოს არანდამ გაიტანა, თუმცა ეს უფრო სანტიაგო კანისარესის უხეში შეცდომით გასული გოლი იყო.

„ვალენსიას“ მარცხი გასაკვირი არც უნდა იყოს, აი, „რეალისა“ კი ცოტა არ იყოს, უცნაურია. უფრო სწორად, არა თავისთავად წაგება, არმედ ის, რომ ეს მადრიდელთა ზედიზედ მეხუთე დამარცხება გახლდათ. „რეალის“ დაწიოკება დარკო კოვაჩევიჩმა დაიწყო, ხაბი ალონსოს ზუსტი პასით ახლო ძელთან შეაგდო. მეორე უკვე ალონსომ გაიტანა. შესვენებამდე სანებასტიანელებმა ერთიც გაიტანეს ოსკარ დე პაულას თავურით და ყველაფერ ამას „რეალმა“ ოდენ ფიგუს პენალტით უპასუხა. თუმცა მეორე ტაიმში უკვე ფიგუ ეუხეშა აგუსტინ არანსაბალს და საბოლოო ანგარიში პრიეტომ ისევ პენალტით დააფიქსირა.

რაკი პირველივე ტაიმში გამოჩნდა, რომ „რეალი“ „სოსიედადის“ მომგები არ იყო, „ბარსელონას“ წაგების უფლებაც მიეცა. არადა, ბარსა“ იგებდა. ხავიერ სავიოლას ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი და ხავი საუკეთესოდ მოემსახურნენ და გაატანინეს, მაგრამ თასის მფლობელმა დამარცხება არ ინდომა და საბოლოოდ ორივე გუნდი კმაყოფილი დარჩა.

„ესპანიოლი“ თუ მოიგებდა, „სელტას“ და „ვალიადოლიდს“ არაფერი შველოდათ. ესპანიოლელებმა კი გვარიანად ინერვიულეს და გულშემატკივარიც ანერვიულეს, გავარდნამდე 19 წუთი უკლდათ — 71-ე წუთამდე ბარსელონელები „მურსიას“ ვერაფერს უხერხებდნენ, ამასობაში კი „ვალიადოლიდი“ თავის თამაშს იგებდა. მაგრამ „ესპანიოლი“ მისმა ფავორიტმა რაულ ტამუდომ იხსნა, ვინაც ივან დე ლა პენიას დიდებული პასით გოლი გაიტანა, გამარჯვება კი ალბერტ ლოპომ მეორე გოლით განამტკიცა.

რაკი „ვილიარეალმა“ ვალიადოლიდში წააგო, უეფას თასზე გამსვლელი ადგილის ბედი სევილიაში გადაწყდა. „სევილია“ — „ოსასუნა“ ძალიან უხეში და ნერვიული თამაში გამოდგა, რვა ყვითელი და ერთი წითელი ბარათით. ერთადერთი გოლი კი მასპინძელთა ბრაზილიელმა ჟულიო ბაპტისტამ გაიტანა. ეს მისი მეოცე გოლი იყო ამ სეზონში.

„სევილიას“ გამარჯვებამ გარჯა წყალში ჩაუყარა „ატლეტიკოს“, რომელმაც სტუმრად 4:3 მოუგო ბილბაოელ სეხნიას. ესპანეთში, მოგეხსენებათ, თანაბარქულიანობისას ურთიერთშეხვედრათა შედეგებს აქცევენ ყურადღებას და „სევილია“ ცხრილში მეტოქის მოედანზე გატანილი მეტი გოლის წყალობით მოექცა „ატლეტიკოს“ თავზე.

ბილბაოში კი, შესაძლო, მერვე გოლიც გასულიყო, მაგრამ მადრიდელმა ფერნანდო ტორესმა პენალტი გააფუჭა.

კოტე კეკელია

№		სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ვალენსია	38	23	8	7	71:27	44	77	19	12	3	4	38:16	22	39	19	11	5	3	33:11	22	38
2	ბარსელონა	38	21	9	8	63:39	24	72	19	10	6	3	33:14	19	36	19	11	3	5	30:25	5	36
3	დეპორტივო	38	21	8	9	60:34	26	71	19	13	3	3	36:15	21	42	19	8	5	6	24:19	5	29
4	რეალი	38	21	7	10	71:53	18	70	19	13	2	4	42:25	17	41	19	8	5	6	29:28	1	29
5	ბილბაო	38	15	11	12	53:49	4	56	19	10	5	4	32:20	12	35	19	5	6	8	21:29	-8	21
6	სევილია	38	15	10	13	56:45	11	55	19	12	2	5	30:15	15	38	19	3	8	8	26:30	-4	17
7	ატლეტიკო	38	15	10	13	51:53	-2	55	19	11	5	3	30:17	13	38	19	4	5	10	21:36	-15	17
8	ვილიარეალი	38	15	9	14	47:49	-2	54	19	10	5	4	28:19	9	35	19	5	4	10	19:30	-11	19
9	ბეტისი	38	13	13	12	46:43	3	52	19	6	9	4	22:20	2	27	19	7	4	8	24:23	1	25
10	მალაგა	38	15	6	17	50:55	-5	51	19	10	4	5	35:27	8	34	19	5	2	12	15:28	-13	17
11	მალიორკა	38	15	6	17	54:66	-12	51	19	7	5	7	29:32	-3	26	19	8	1	10	25:34	-9	25
12	ოსასუნა	38	11	15	12	38:37	1	48	19	6	7	6	24:24	0	25	19	5	8	6	14:13	1	23
13	სარაგოსა	38	13	9	16	46:55	-9	48	19	7	7	5	25:20	5	28	19	6	2	11	21:35	-14	20
14	ალბასეტე	38	13	8	17	40:48	-8	47	19	9	2	8	25:21	4	29	19	4	6	9	15:27	-12	18
15	სოსიედადი	38	11	13	14	49:53	-4	46	19	7	7	5	24:22	2	28	19	4	6	9	25:31	-6	18
16	ესპანიოლი	38	13	4	21	48:64	-16	43	19	8	2	9	24:26	-2	26	19	5	2	12	24:38	-14	17
17	რასინგი	38	11	10	17	48:63	-15	42	19	5	4	10	23:32	-9	19	19	6	6	7	25:31	-6	24
18	ვალიადოლიდი	38	10	11	17	46:56	-10	41	19	7	6	6	25:23	2	27	19	3	5	11	21:33	-12	14
19	სელტა	38	9	12	17	47:67	-20	39	19	4	4	11	16:38	-22	16	19	5	8	6	31:29	2	23
20	მურსია	38	5	11	22	29:57	-28	26	19	5	7	7	21:25	-4	22	19	0	4	15	8:32	-24	4

„რასინგს“ დაკლებული აქვს 1 ქულა

ამას ველოდით

პერესი კეირუშს წასვლაზე შეუთანხმდა

ფლორენტინო პერესი

კარლუშ კეირუში



ხოსე ანტონიო კამაჩო

მოსახდენი მოხდა — „რეალმა“ კარლუშ კეირუში გაუშვა და მის ადგილას ხოსე ანტონიო კამაჩო დანიშნა.

კეირუში, „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწე, „რეალში“, შეგახსენებთ, ივნისში მივიდა, გუნდიდან ვისენტე დელ ბოსკეს გაშვების მერე. არადა, სამნახევარი წლის განმავლობაში, რაც „რეალს“ დელ ბოსკე წვრთნიდა, გუნდმა ორჯერ ესპანეთის ჩემპიონობა მოიგო და ორჯერაც ჩემპიონთა თასს დაეუფლა.

ახლა კი პრესკონფერენციაზე „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა თქვა, კეირუშთან სიტყვიერად შეეთანხმდით, რომ ჩვენი მწვრთნელი აღარ იქნებაო.

გუშინდელ პრესკონფერენციაზეევე პერესმა კამაჩოს დანიშვნა დაადასტურა. ესპანეთის ნაკრების და „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი, ნაკრებისავე ყოფილი მწვრთნელი კამაჩო 2002 წლიდან პორტუგალიურ „ბენფიკაში“ მუშაობდა. ამ სეზონში „ბენფიკა“ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, ქვეყნის თასი მოიგო, უეფას თასზე კი მერვედფინალში „ინტერთან“ დამარცხდა.

კოტე კეკელია

პრეზიდენტის მაგიური სიტყვები: ჩვენ ჩემპიონები გავხდებით

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXVIII ტური

ლიონი 3:0 ლილი
1:0 გოვუ (40), 2:0 მ. დიარა (52პ), 3:0 ლუინდულა (78)

მარსელი 2:1 გენგამი
1:0, 2:0 მარლე (13, 41), 2:1 ტალუ (75)

ბასტია 0:1 პსჟ
0:1 პაულეტა (53)

ნიცა 1:1 ოსერი
1:0 ლარბი (71), 1:1 ლ. მატისი (85)

ნანტი 3:1 სოშო
1:0 და როშა (6), 2:0 იაპი-იაპო (33), 2:1 ს. დიავარა (60), 3:1 სავინო (70)

ლე მანი 3:0 ლანსი
1:0 ბონარი (19), 2:0 ტომა (53), 3:0 პანკრატი (73)

აიაჩო 3:1 მეცი
0:1 მაულიდა (31), 1:1, 2:1, 3:1 დიომედი (39პ, 45, 55)

რენი 4:0 მონპელიე
1:0 ა. ფრეი (13), 2:0 ლ. დიატა (27), 3:0 ა. ფრეი (63), 4:0 ბრენდი (87)

სტრასბური 0:0 ტულუზი

ბორდო 1:3 მონაკო
1:0 რიერა (14), 1:1 ადებაიორი (24), 1:2 ბერნარდი (76), 1:3 ნონდა (78)

პოლ ლე გუენმა „ლიონი“ ჟაკ სანტინისგან 2002 წლის ივლისში ჩაიბარა. სანტინიმ ორი სეზონი იმუშავა გუნდში და კლუბის დაარსებიდან 52-ე წლისთავზე ჩემპიონობას აზიარა.

პოლ ლე გუენი საქმის კარგი გამგრძელებელი გამოდგა და „ლიონს“ მიჯრით კიდევ ორჯერ ჩაახუტა ოქრო. სამივე სეზონში განვლილი გზა თითქმის ერთნაირია. გუნდი შემოდგომაზე მძიმედ იწყებს, გაზაფხულისთვის კი შესაშური ფორმაშია. ჩემპიონობის მსურველ მეტოქეებს ლიონელები აპრილ-მაისში ზედიზედ მოგებული მატჩების ხარჯზე სჯობნიან.

კლუბის პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა ამ საუკუნეში მწვრთნელების შერჩევისას არ შემცდარა. იგი გუნდს 1987 წელს დაეპატრონა. მაშინ „ლიონი“ მეორე დივიზიონში ფაფხურობდა.

„17 წლის წინ კლუბის ბიუჯეტი ამჟამინდელი საზომით 2 მილიონ 300 ათასი ევრო იყო და ერთ მილიონამდე ვალიც გვქონდა — თქვა ოლამ — დღეს წლიური ბრუნვა 80 მილიონს აღწევს, მოგება კი 35 მილიონს“.

1987-ში კლუბში პრეზიდენტის გარდა სამი კაცი მუშაობდა, ახლა კი ასამდე თანამშრომელია. 1988 წელს „ლიონიდან“ „სენტ ეტეინში“ მცველი ლორენ ფურნიე გადავიდა, რადგან ოლას არ შეეძლო მისთვის ყოველთვიურად 10 ათასი ევროს ოდენობის ფრანკი გადაეხადა. დღეს კი ელბერისა და ჟუნინიოს დარი ძვირფასი მოთამაშეები ჰყავს.

1983-ში უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნილი „ლიონი“ 1989 წელს უძლიერესთა შორის დაბრუნდა. გუნდს რაიმონ დომენეკი თავკაცობდა. ჟან-მიშელ ოლამ დაბრუნებისთანავე განაცხადა — სამ სეზონში ევროთასებზე გავალთო.

ოლა ახირებული კაცია. 1989 წლიდან მოყოლებული, ყოველ შემოდგომაზე თურმე ერთი წინადადება ჰქონია ამოჩემებული: „ჩვენ ჩემპიონები გავხდებით“. ფრანგმა ჟურნალისტებმა „ხელმოცარულად“ მონათლეს, მაგრამ იგი ჯიუტად იმეორებდა: „დღეს თუ ხვალ ოქროს აუცილებლად მოვიგებთ“.

2001-ში „ლიონი“ საფრანგეთის ლიგის თასს დაეუფლა, მომდევნო სამი წლის განმავლობაში კი პირველი ადგილი არავის დაუთმო.

„მე ჯერ კიდევ მწყურია დიდი ჯილდოები. ევროთასები? დარწმუნებული ვარ, მალე მათი დროც მოვა“ — თქვა ჟან-მიშელ ოლამ.

გაჟა ხუციშვილი



ჟან-მიშელ ოლა

საბოლოო ცხრილი

ლიონი	38	24	7	7	64:26	79
პსჟ	38	22	10	6	50:28	76
მონაკო	38	21	12	5	59:30	75
ოსერი	38	19	8	11	60:34	65
სოშო	38	18	9	11	54:42	63
ნანტი	38	17	9	12	47:35	60
მარსელი	38	17	6	15	51:45	57
ლანსი	38	15	8	15	34:48	53
რენი	38	14	10	14	56:44	52
ლილი	38	14	9	15	41:41	51
ნიცა	38	11	17	10	42:39	50
ბორდო	38	13	11	14	40:43	50
სტრასბური	38	10	13	15	43:50	43
მეცი	38	11	9	18	34:42	42
აიაჩო	38	10	10	18	33:55	40
ტულუზი	38	9	12	17	31:44	39
ბასტია	38	9	12	17	33:49	39
გენგამი	38	10	8	20	36:58	38
ლე მანი	38	9	11	18	35:57	38
მონპელიე	38	8	7	23	41:74	31

ბომბარდირები

ჯ. სისე (ოსერი)	26
დროგბა (მარსელი)	19
ა. ფრეი (რენი)	19
პაულეტა (პსჟ)	18
ფრო (სოშო)	17
ლუინდულა (ლიონი)	16

ჟერარ ულიეს გათავისუფლება გასული შემოდგომიდანვე მზადდებოდა და გუშინღა აღსრულდა. 56 წლის ფრანგი მწვრთნელი „ლივერპულიდან“ წავიდა ხოვეს.

„გადაწყვეტილების მიღებამდე კარგა ხანს ვფიქრეთ და ვითარება სათანადოთ შევაფასეთ — თქვა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა რიკ პერიმ — ჩვენ თავად ულიეს და გუნდის კაპიტან ჯერარდს ვესაუბრეთ. ამჯერად „ლივერპულისთვის“ ასე აჯობებს“

მკერდში ლივერპული ფეთქავს

ულიემ გული ენფილდზე დატოვა

„ექვსი წლის წინ გულშემატკივრად ჩამოვედი და აქედან გულშემატკივრად წავალ — აღნიშნა ულიემ — დავტოვებ ლივერპულს, მაგრამ „ლივერპული“ ჩემი გულიდან არასოდეს ამოიკვეთება“.

ჟერარ ულიე „ენფილდზე“ 1998 წლის ივლისში მივიდა და ნოემბერში როი ევანსის ნაცვლად მწვრთნელად დანიშნეს. 2000-ში მეოთხე ადგილზე გაიყვანა გუნდი და უეფას თასზე მოხვდა. 2001 წელს ინგლისის ლიგის, ასოციაციის და უეფას თასები მოიგო, რასაც ევროპის სუპერთასი და პრემიერლიგის დაწყებამდე „ჩარითი შილდი“ მიაყოლა.

ასეთი რიხიანი სეზონის შემდეგ ფანობა ჩემპიონობას ითხოვდა, მაგრამ „ლივერპული“ მეორე ადგილს (2002) ვერ ასცდა. შარშან მეხუთე საფეხურს მიაღწია, ახლა კი — მეოთხეს.

საკმარისი მიზეზები დაგროვდა საიმისოდ, რომ მწვრთნელი მოეხსნათ. კლუბის აქციათა 30 პროცენტი ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა ტაკსინ შინავატრამ იყიდა. პრემიერი „ლივერპულისთვის“ 100 მილიონ ევროზე მეტის დახარჯვას აპირებს და ფრანგის შეცვლას ითხოვდა.

გუნდში მისვლის დღიდან ჟერარ ულიეს რეკომენდაციით რვა ახალი ფეხბურთელი შეიძინეს. მათ შორის ექვსი ფრანგული კლუბებიდან გადაიყვანეს და ბლომად ფული გადაყარეს. ჯიმი ტრაორე, სალიფ დიაო, ელ ჰაჯი დიუფი, ბრუნო შეირუ, ანტონი ლე ტალეკი და ფლორენ სინამა-პონგოლე ძირითადად სათადარიგოთა სკამს ხეხავდნენ.

ულიეს შემცვლელი ჯერ უცნობია, მაგრამ რაფაელ ბენიტესისა და „ჩარლტონის“ მწვრთნელ ალან კერბიშლის სახელებს უკვე ახსენებენ. „ოფიციალურად არავის მოუმართავს — განაცხადა ბენიტესმა — თუმც სასიამოვნოა, რომ „ლივერპულის“ დარი კლუბი ჩემით დაინტერესდა. მე „ვალენსიასთან“ კონტრაქტი მაქვს და მომავალი სეზონისთვის ვემზადები. ინგლისში ივლისში აუცილებლად ჩავალ, ოღონდ „ვალენსიასთან“ ერთად ერთკვირიან შეკრებაზე“.

„რაფაელი შესანიშნავად ფლობს ინგლისურს და ბრიტანეთში მუშაობა არ გაუჭირდება“ — თქვა მწვრთნელის აგენტმა მანუელ გარსია კილონმა.

გაჟა ხუციშვილი

კუპას პროტესტი

თეთრი არწივების შემოსევა

ბრაზილია

სერია A. VII ტური

ბოტაფოგო — ფიგეირენსე 1:1; პაისანდუ — გრემიო 1:3; ინტერნასიონალი — გოიასი 1:0; კურიტიბა — ატლ. მინეირო 0:1; სან კაეტანო — ვასკუ და გამა 3:2; სანტოსი — პალმეირასი 0:4; ფლამენგო — ფლუმინენსე 1:2; ჟუვენტუდე — გუარანი 2:0; კრისიუმა — ვიტორია 2:0; პარანა — პონტე პრეტა 0:1; კორინთიანსი — ატლ. პარანენსე 0:5; კრუზეირო — სან პაულუ 2:1

„კორინთიანსის" საბრალო ფეხბურთელები პოლიციამ ძლივს გაიყვანა მინდვრიდან, რადგან საკუთარი გულშემატკივრები ტრიბუნებიდან დაიძრნენ მათ გასალახად მას შემდეგ, რაც გუნდმა შინ, 0:5 წაგო „ატლეტიკო პარანენსესთან".

ამბავი მეორე ტაიმში ატყდა, როცა ორი გიუმაჟი ბიჭი მინდორზე გადაეშვა კლუბის ღირსების დაცავად და დამცირებისა და შერცხვენის საწინააღმდეგოდ. ერთი ამათგანი მეკარე ფაბიო კოსტამ შეაკავა, მეორეს კი პოლიცია ეტაკა. ამას, თამაშის ბოლოსკენ მოჰყვა „კორინთიანსის" ყველაზე ერთგულ ულტრათა დაძვრა მინდვრისკენ, ესენი იყვნენ ფანკლუბ „ერთგულ არწივთა" წევრები. პოლიციამ ივარგა, ღამით კი 150-მა გიუმაჟმა ალყა შემოარტყა კლუბის პრეზიდენტის, ალბერტო დუალიბის სახლს. „კორინთიანსი" მე-17 ცხრილში.

„სანტოსიდან" გაგდებულ ემერსონ ლეაოს ბრწყინვალე სამწვრთნელო დებიუტი ჰქონდა ბელუ ორიზონტეში, სადაც მისმა „კრუზეირომ" 2:1 მოუგო „სან პაულუს". პირველსავე ტაიმში ჟარდელმა (სხვა ჟარდელია) და დუდუმ (7 გოლი 7 ტურში) თითო შეუგდეს სტუმრებს. ჟაბრელმა ერთი გოლი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაქვითა, მაგრამ „სან პაულუმ" ქულა ვერ წაიღო, თუნდაც იმიტომ, რომ მსაჯმა ბოლო წუთზე ჯარიმა დანიშნა „კრუზეიროს" კარში, მაგრამ წამსვე საფინალო ჩასტვინა და სტუმრებმა სახიფათო დარტყმა ვერ მოასწრეს. „სან პაულუს" ჯარიმების ოსტატმა მეკარემ, როჟერიო რენიმ, რომელიც სიმართლე ითქვას, დიდხანს ასწორებდა დასარტყმელად ბურთს, და მწვრთნელმა კუკამ ოფიციალური პროტესტი დაწერეს.

ლუჟაო დუ მოუმკაუ

კრისიუმა	7	4	2	1	14:10	14
კრუზეირო	7	4	2	1	13:10	14
სან პაულუ	7	4	2	1	11:8	14
ინტერნასიონალი	7	4	2	1	6:3	14
პონტე პრეტა	7	4	2	1	8:6	14
ფიგეირენსე	7	4	1	2	9:6	13
ფლუმინენსე	7	3	3	1	8:6	12
პალმეირასი	7	3	2	2	14:5	11
სან კაეტანო	6	3	2	1	11:5	11
ატლ. პარანენსე	7	3	2	2	10:5	11
ვიტორია	7	3	1	3	16:9	10
გოიასი	7	3	1	3	13:13	10
პარანა	7	3	1	3	10:16	10
გრემიო	7	2	4	1	11:9	10
ჟუვენტუდე	6	2	2	2	10:6	8
ატლ. მინეირო	7	1	5	1	8:8	8
კორინთიანსი	7	2	1	4	7:19	7
კურიტიბა	7	1	4	2	5:6	7
სანტოსი	7	2	0	5	8:14	6
ვასკუ და გამა	7	1	2	4	6:9	5
გუარანი	7	1	2	4	4:8	5
ბოტაფოგო	7	0	4	3	8:14	4
ფლამენგო	7	0	3	4	5:12	3
პაისანდუ	7	0	2	5	8:16	2

ბილარდომ თვალში გამოიხედა

რასინგი ბობოლებს მიუჩოჩდა

„რივერ პლეიტი" — „ჩაკარიტა". ნელსონ კუევასს სტუმართა მცველებმა გასაჭანი არ მისცეს

არგენტინა

კლაუსურა. XV ტური

ინდეპენდიენტე — რასინგი 1:3; ნუევა ჩიკაგო — ატლეტიკო 2:2; კოლონი — ხიმნასია 0:0; რივერ პლეიტი — ჩაკარიტა 0:0; ოლიმპო — როსარიო 0:0; ოლდ ბოიზი — ლანუსი 2:4; კილმესი — ბოკა ხუნიორსი 2:0; არსენალი — ველესი 2:1; ესტუდიანტეს — ტალიერესი 2:1; ბანფილდი — სან ლორენსო 0:1

„რასინგ კლუბმა" 3:1 დაამარცხა „ინდეპენდიენტე" და არგენტინის ჩემპიონატის ლიდერებს, „რივერ პლეიტსა" და მის ახლომდევარ „ბოკა ხუნიორსს" დაუახლოვდა.

„რასინგი", რომელსაც სახალხოდ „აკადემიას" უწოდებენ და მწვრთნელად უბალდო ფილოლი ჰყავს, უკვე მესამე ადგილზეა. „რივერმა" და „ბოკამ" კი მე-15 ტურში ვერ მოიგეს.

„ინდეპენდიენტე", რომელიც ამ თამაშის მასპინძელი იყო, მაგრამ თავისი სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო „ლანუსის" მინდორზე მასპინძლობდა „რასინგს", თავიდან კი იგებდა, მაგრამ გასტონ ფერნანდესის დუბლმა თამაში მოატრიალა, დასრულებამდე 8 წუთით ადრე კი ლისანდრო ლოპესმა მესამეც გაიტანა, მასპინძლებს კი სულ ბოლოს რაფაელ ოლარიც გაუძევეს მეორე ყვითლით.

„ინდეპენდიენტე" მე-14 ცხრილში, „რასინგი" კი მე-3 და 6 ქულით ჩამორჩება „რივერს", რომელმაც აუტსაიდერ „ჩაკარიტასთან" უგოლოდ და 10-10-ზე დაასრულა თამაში, რახან ორივეს თითო კაცი გაუძევეს. „ბოკა", რომელიც ქულით ჩამორჩებოდა „რივერს", გამარჯვების შემთხვევაში ლიდერი ხდებოდა, მაგრამ პირველ ტაიმში ორი გოლი გაუშვა „კილმესთან" და თამაშიც პირწმინდად წააგო.

ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა კარლოს ბილარდოს „ესტუდიანტესმა", რომელმაც ერნესტო ფარიასის 9 წუთში შესრულებული დუბლით შემოუტრიალა თამაში „ტალიერეს" და მე-11 ადგილამდე აცოცდა. ამ თამაშშიც ორივე გუნდს გაუძევეს თითო კაცი: „ესტუდიანტესს" ორასიო კარდოსო, სტუმრებს ლუსიანო დე ბრუნო.

რივერ პლეიტი	15	10	3	2	34:15	33
ბოკა ხუნიორსი	15	9	4	2	29:14	31
რასინგი	15	8	3	4	27:22	27
ტალიერესი	15	7	4	4	24:17	25
კილმესი	15	6	6	3	17:14	24
ველესი	15	6	4	5	25:18	22
ბანფილდი	15	6	4	5	19:15	22
არსენალი	15	5	7	3	16:17	22
კოლონი	15	6	3	6	17:22	21
სან ლორენსო	15	4	7	4	15:14	19
ესტუდიანტესი	15	5	4	6	17:23	19
ოლდ ბოიზი	15	3	9	3	26:23	18
ლანუსი	15	5	3	7	19:22	18
ინდეპენდიენტე	15	4	6	5	17:21	18
ატლეტიკო	15	4	4	7	18:21	16
ნუევა ჩიკაგო	15	2	10	3	16:20	16
ოლიმპო	15	3	5	7	12:22	14
ხიმნასია	15	2	7	6	18:20	13
როსარიო	15	2	4	9	14:26	10
ჩაკარიტა	15	1	7	7	14:28	10

აშშ

MLS. VIII ტური

ჩიკაგო 1:3 კოლამბუსი

სლოვენია

სი მობილ ლიგა

XXXI ტური

მარიბორი — ოლიმპია 0:0; პრიმორიე — ნოვა გორიცა 2:0; კოპერი — მურა 4:1; დრავოგრადი — პტუი 3:1; ლიუბლიანა — პუბლიკუმი 2:1; დომზალე — შმარტნო 2:2

შრეგვაი

პრიმერა. XII ტური

ბელა ვისტა — ნასიონალი 0:0; დეფენსორი — კოლონია 2:2; დანუბიო — სერიტო 2:0; რენტისტასი — სენტრალ ესპანიოლი 3:0; დეპორტივო — სერო 1:4; მირამარი — ტაკუარემბო 1:0; ლივერპული — პენიაროლი 0:5; მალდონადო — როხა 0:2; უონდერერსი — ფენიქსი 0:0

მექსიკა

კლაუსურა

მეოთხედფინალის წინასწარ

კრუს ასული — ხაგუარესი; ატლასი — უანამი; ატლანტე — გვადალახარა; ტოლუკა — ამერიკა

ჩილე

აპერტურა. 1/8 ფინალი

საპასუხო მატჩები

კოლო კოლო — აუდაქს იტალიანო 1:0 (1:0); უნივერსიდად დე კონსეპსიონი — ტემუკო 1:1 (1:0); კოკიმბო — უანიპატო 0:3 (2:3); კობრელოა — სან ფელიპე 2:1 (2:0); უონდერერსი — რეინჯერსი 3:0 (1:1); უნივერსიდად დე ჩილე — უნიონ ესპანიოლა 1:1 (3:1)

მეოთხედფინალის წილისყრა

კობრელოა — ტემუკო; უონდერერსი — უნიონ ესპანიოლა; კოლო კოლო — უანიპატო; უნივერსიდად დე კონსეპსიონი — უნივერსიდად დე ჩილე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

2 ივნისი: ბრაზილია – არგენტინა

არგენტინა

მეკარეები: პაბლო კავალიერო (სელტა, ესპანეთი), რობერტო აბონდანსიერი (ბოკა ხუნიორსი);

მცველები: რობერტო აიალა (ვალენსია, ესპანეთი), ფაბრიციო კოლოჩინი (ვილიარეალი, ესპანეთი), ვალტერ სამუელი (რეალი, ესპანეთი), გაბრიელ ჰაინცე (პსჟ, საფრანგეთი), ფაკუნდო კიროგა (სპორტინგი, პორტუგალია);

ნახევარმცველები: ხავიერ ძანეტი, კილი გონსალესი (ინტერი, იტალია), დიეგო პლასენტე (ლევერკუზენი, გერმანია), ხუან პაბლო სორინი (პსჟ, საფრანგეთი), ხუან რომან რიკელმე (ვილიარეალი, ესპანეთი), პაბლო აიმარი (ვალენსია, ესპანეთი), მარიანო გონსალესი (რასინგი);

თავდამსხმელები: ერნან კრესპო (ჩელსი, ინგლისი), ხავიერ სავიოლა (ბარსელონა, ესპანეთი), სეზარ დელგადო (კრუს ასული, მექსიკა), მაურო როსალესი (ნიუელს ოლდ ბოიზი)

გერმანია ევრო-2004-ზე

მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (არსენალი, ინგლისი), ტიმო ჰილდებრანდი (შტუტგარტი);

მცველები: ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), არნე ფრიდრიხი (ჰერტა), ანდრეას ჰინკელი, ფილიპ ლამი (შტუტგარტი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი), კრისტიან რანი (ჰამბურგი);

ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი, იენს იერემისი (ბაიერნი), ფაბიან ერნსტი (ვერდერი), პაულ ფრაიერი (ბოხუმი), ტორსტენ ფრინგსი, სებასტიან კელი (დორტმუნდი), დიტმარ ჰამანი (ლივერპული, ინგლისი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი);

თავდამსხმელები: ფრედი ბობიჩი (ჰერტა), მიროსლავ კლოზე (კაიზერსლაუტერნი), კევინ კურანი (შტუტგარტი), თომას ბრდარიჩი (ჰანოვერი)

23-ე ფეხბურთელს მწვრთნელი რუდი ფიოლერი 2 ივნისს დაასახელებს

იყიდება!

პერსონალური კომპიუტერები



პენტიუმ 1 (200 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 64 MB,
HDD — 1,2 GB,
ვიდეო მეხსიერება — 1 MB,
Sound, Speakers, FDD, CD-ROM,
MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — SAMSUNG SYNCMASTER 15"

ფასი — 100 $

პენტიუმ 1 (166 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 38 MB,
HDD — 2,0 GB,
ვიდეო მეხსიერება — 1-4 MB (On Board),
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — LG STUDIOWORKS 15"

ფასი — 100 $

ტელეფონი: 39-48-29, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი						
		29 მაისი						
19.00	002	ვესტ ჰემი-კრ. პალასი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი						
		30 მაისი						
19.00	003	ბრისტოლი-ბრაიტონი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი						
		31 მაისი						
19.00	004	მენსფილდი-ჰადერსფილდი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
		ჰოლანდია. პლეი-ოფი						
		25 მაისი						
23.00	068	ვენლო-სპარტა	2,2	3,4	2,7	1,33	1,21	1,5
23.00	069	ჰელმონდი-ვიტესი	3,8	3,4	1,75	1,79	1,19	1,15
23.00	070	ექსელსიორი-ვოლენდამი	1,75	3,5	3,6	1,16	1,17	1,77
23.00	071	ჰერაკლესი-გრააფსხაპი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
		დანია. სუპერლიგა. XXXIII ტური						
		29 მაისი						
18.00	085	ოლბორგი-მიდტიულანდი	1,85	3,4	3,5	1,19	1,21	1,72
18.00	086	ბრიონდბიუ-აკადემისკი	1,12	6,0	14,0	1	1,03	4,19
18.00	087	ესბიერგი-ფრემი	1,35	4,4	7,0	1,03	1,13	2,7
18.00	088	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	6,5	4,2	1,4	2,55	1,15	1,04
18.00	089	ოდენსე-ჰერფიოლგე	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
18.00	090	ორჰუსი-ვიბორგი	2,05	3,4	3,1	1,27	1,23	1,62
		სლოვაკეთი. I ლიგა. XXXIII ტური						
		25 მაისი						
20.00	179	ტრნავა-პეტრჟალკა	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
20.00	180	ინტერი-ბ.ბისტრიცა	3,0	3,2	2,05	1,54	1,21	1,24
20.00	181	ტრენჩინი-დუბნიცა	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
20.00	182	რუჟომბეროკი-ჟილინა	2,8	3,2	2,2	1,49	1,23	1,3
20.00	183	პუხოვი-სლოვანი	1,7	3,4	3,6	1,13	1,15	1,74
		პოლონეთი. I ლიგა. XXVI ტური						
		30 მაისი						
22.00	192	ოდრა-პლოცკი	2,35	3,0	2,8	1,31	1,27	1,44
		მექსიკა. კლაუსურა						
		26 მაისი						
02.05	245	კრუს ასული-ხაგუარესი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
06.05	246	ატლანტე-ჩივასი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
		27 მაისი						
01.05	247	ტოლუკა-ამერიკა	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
06.45	248	ატლასი-პუმასი	2,45	3,1	2,5	1,36	1,23	1,38
		გერმანია. თასი. ფინალი						
		29 მაისი						
23.00	261	ვერდერი-ალემანია	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
		საფრანგეთი. თასი. ფინალი.						
		29 მაისი						
23.45	262	პსჟ-შატორუ	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
		ჩემპიონთა ლიგა. ფინალი						
		26 მაისი						
23.45	001	მონაკო-პორტუ	2,9	3,0	2,4	1,47	1,31	1,33
		თასის აღება						
		26 მაისი						
23.45	7001	მონაკო-პორტუ	1,9	1,7				

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ლიბერტადორესის თასი						
		25 მაისი						
05.00	269	ბოკა ხუნიორსი-სან კაეტანო	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
		26 მაისი						
03.15	270	დეპორტივო-რივერ პლეიტი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
05.45	271	ტახირა-სან პაულუ	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
		ამხანაგური მატჩები						
		25 მაისი						
22.00	282	ავსტრია-რუსეთი	2,8	3,1	2,35	1,47	1,27	1,33
		27 მაისი						
22.00	285	ნორვეგია-უელსი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
23.30	286	ესტონეთი-შოტლანდია	2,9	3,1	2,3	1,49	1,28	1,32
23.30	287	გერმანია-მალტა	1,02	8,0	30,0	1	1	6,31
23.30	288	ირლანდია-რუმინეთი	2,0	3,1	3,5	1,21	1,27	1,64
		28 მაისი						
20.45	289	საფრანგეთი-ანდორა	1,01	9,0	40,0	1	1	7,34
22.00	290	ფინეთი-შვედეთი	2,9	3,1	2,3	1,49	1,28	1,32
		ჰოკეი.NHL						
		25 მაისი						
05.00	1001	ტამპა ბეი-კალგარი	1,8	3,6	3,3	1,19	1,16	1,72
		კალათბურთი. იტალია						
		25 მაისი						
23.30	1101	სკიპერი-ბენეტონი	1,6	10,0	2,0	1,37	1	1,66
23.30	1102	სიენა-სკავოლინი	1,2	10,0	3,5	1,07	1	2,59
		კალათბურთი. ესპანეთი						
		27 მაისი						
23.00	1111	უნიკახა-ბარსელონა	1,8	10,0	1,8	1,52	1	1,52
		28 მაისი						
23.30	1112	ესტუდიანტესი-ტაუ	1,9	10,0	1,7	1,59	1	1,45
		კალათბურთი. საბერძნეთი						
		26 მაისი						
21.00	1121	პანათინაიკოსი-მარუსი	1,25	10,0	3,0	1,11	1	2,3
		კალათბურთი. NBA						
		25 მაისი						
06.00	1132	ლეიკერსი-მინესოტა	1,15	10,0	4,0	1,03	1	2,85



ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

დრო	№	მატჩი						
		12 ივნისი						
21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
		13 ივნისი						
21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64
		14 ივნისი						
21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		15 ივნისი						
21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
		16 ივნისი						
21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08
		17 ივნისი						
21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07
		18 ივნისი						
21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
		19 ივნისი						
21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		20 ივნისი						
23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		21 ივნისი						
23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
		22 ივნისი						
23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
		23 ივნისი						
23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

ეროვნული ბიბლიოთეკა

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.Iადგ.	6301 ჯგ.გავა	6401 ჯგ.ვერ.გავა
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5501	მონაკო-პორტუ	3,0	2,8	2,0

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5201 მონაკო-პორტუ ------------------- 1,65 ------------------------- 1,95

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5001	მონაკო-პორტუ	3,4	2,05	2,9	1,27	1,56	1,2

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5101 მონაკო-პორტუ	4,4	10,0	20,0	5,0	4,4	4,6	20,0	10,0	3,6

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5401 მონაკო-პორტუ ------------------- 1,85 ------------------------- 1,75

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

	კი	არა
5301 მონაკო-პორტუ	1,65	1,95

ნუგზარ კანდელაკი კალათბურთში ილო ზედგინიძემ მიიყვანა

ისწავლა სწავლის მძებნელმა

ათიოდ წლის წინ ნუგ ზარ კანდელაკი კალათბურთის ისეთივე გულშემატკივარი იყო, როგორც ის ასობით ადამიანი, რომელიც შაბათს ვერის ბაღში მის ჩემპიონობას ტაშით შეხვდა. „ბასკოს“ მწვრთნელს ბავშვობაში კალათბურთელობა სურდა, მაგრამ რომ არ გამოუვიდა, სწავლას მიეძალა. მშვიდად მიჰყვებოდა ცხოვრების რიტმს, იქით სკოლაში ასწავლიდა, სადისერტაციო თემაზე მუშაობასაც თითქმის ასრულებდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მასთან ილო ზედგინიძე მივიდა და უთხრა — ნუგ ზარ მას, ჩვენი საკალათბურთო გუნდი უმწვრთნელოდაა და ეგებ გვიხელმძღვანელოო. სად საქართველოს მორაგბეთა ნაკრების კაპიტანი და სად კალათბურთი? ნუგ ზარ კანდელაკმა სხვა საინტერესო ამბებიც გვიამბო...



ნუგზარ კანდელაკი: მუდმივი მოსწავლე და მუდმივი მასწავლებელი

ფოტო ალბომიდან

ფოტო ალექსანდრე ჯორბენაძის

სასარგებლო რჩევა: ფსიქოლოგიური განტვირთვა ყოველთვის საჭიროა

— „ბასკომ“ პატარა სასწაული მოახდინა: სათანადო პირობებს მოკლებულმა საშუალო შემადგენლობით გაცილებით წელგამართული „დინამო“ დაამარცხა...

— შემადგენლობა მართლაც არ გვყოლია ისეთი, როგორსაც სეზონის წინ ვგეგმავთ. შარშანდელი „ბასკო“ რომ დაიშალა და გუნდში სრულიად ახალი შემადგენლობა მოვიდა, ბევრმა არ დაიჯერა, რომ ეს არასაკმარისი დაფინანსების გამო მოხდა. ჩვენ გვსურდა, გუნდში შიო ხეცურიანი, კოტე ტულუში, ზვიად ბაბიაშვილი, რამაზ გოგობერიშვილი გადმოგვეყვანა, მაგრამ პირობებზე ვერ შევუთანხმდით. ასე რომ, მთლად დალხენილად არც სეზონის დასაწყისში ვყოფილვართ...

— მაგრამ ამ ბოლო თვეებში მართლაც ძალიან გაგიჭირდათ...

— სიმართლე გითხრათ, ჩვენ ვვარაუდობდით იმას, რაც საბოლოოდ აჭარაში მოხდა. როცა ვიღაცა მოდის, ვიღაცა უნდა წავიდეს. ეს შეუქცევადი პროცესია. ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა, ეს ამბავი ცოტა დაგვიანებით მომხდარიყო, ჩემპიონატის ჩამთავრება რომ მოგვესწრო, მაგრამ არ გამოვიდა.

— დაფინანსება რომ შეგიწყდათ, გუნდში რა ვითარება შეიქმნა?

— სხვათა შორის, ბიჭები მანამდე შეთანხმდნენ, რომ ჩემპიონატს უხელფასოდ ჩამთავრებდნენ, სანამ ფედერაცია მათ სხვა გუნდებში გადასვლას აუკრძალავდა. სიტყვა თავიდანვე ითქვა და პირნათლად შესრულდა.

— როგორ მოახერხეთ, ბოლო თვეებში გუნდისთვის ფიზიკური ფორმა შეგენარჩუნებინათ, „ბასკომ“ ხომ ის „დინამო“ დაამარცხა, რომელსაც იდეალური სავარჯიშო პირობები ჰქონდა...

— ვინ თქვა, რომ შევუნარჩუნე? გამარჯვება თავად ბიჭების საოცარმა მონდომებამ მოიტანა, თორემ იმ სავარჯიშო პირობებში, რომელიც ჩვენ ბოლო თვეებში გვქონდა, ფიზიკური ფორმის შენარჩუნება თითქმის წარმოუდგენელი იყო.

— ხომ მაინც ახერხებდით ვარჯიშს?

— ვახერხებდით, მაგრამ ხან 4 კაცით, ხანაც 5-ით. თუ 7-8 მოთამაშე შევგროვდებოდით, ეს იყო ჩვენი იდეალური ვარჯიში. ხან „დინამოს“ ბაზაზე დავდიოდით, ხან ვერის ბაღში, ბოლოს თსუ-მ დაგვითმო დარბაზი — დიდი მადლობა მის ხელმძღვანელობას. ძნელი იყო, ვინმესთვის დამეძალებინა ვარჯიშზე მოსვლა, მაშინ, როცა არანაირი პირობა არ გვქონდა და კაპიკს ვერ ვუხდიდით მოთამაშეებს. იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთს ფული არ ჰქონია და ამ მიზეზით გაუცდენია ვარჯიში. ბათუმელები კი თამაშის წინა დღეს ჩამოდიოდნენ ხოლმე. მათ არაერთხელ შემოუთვლიათ, რომ უფულობის გამო ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ და მოულოდნელად პირდაპირ თამაშზე მოსულან.

— მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გუნდს საკუთარ ბინაში იბარებდით, რატომ?

— ასეთი ტრადიცია ბათუმშიც გვქონდა, ოღონდ იქ სასტუმროში ვიკრიბებოდით. ძირითადად ტაქტიკაზე ველაპარაკებოდი, თითოეულს ვუხსნიდი თავის ადგილს მოედანზე, თან ყავას, ან ჩაის ვსვამდით, ვცდილობდი ფსიქოლოგიური ზეწოლის განმუხტვას. ერთ ოთახში, ერთ მაგიდასთან შეკრება ძალიან უწყობდა ხელს გუნდის შეკვრას, გამთლიანებას. ეგებ ეს ნიუანსი ეგონოს ვინმეს, მაგრამ „ბასკოს“ ძალიან გამოადგა.

— და ყველაზე მეტად რა გამოგადგათ, რა არის გამარჯვებისთვის აუცილებელი?

— გინდათ დაუწერელი კანონი უწოდეთ და გინდათ, დაწერილი — გამარჯვებისთვის მთავარია შრომა, შრომა და კიდევ შრომა. შარშან ცსკა-ს კემპზე ერთ ღვაწლმოსილ მწვრთნელს შევხვდი — სამწუხაროდ სახელი აღარ მახსოვს, მისი აღზრდილია ჯორჯევიჩი, დალიპაგიჩი და სხვა უამრავი ცნობილი კალათბურთელი — ამ ხნიერმა მწვრთნელმა თქვა, შეიძლება, არ გქონდეს ფული და არ გყავდეს ძლიერი კალათბურთელები, მაგრამ მაინც ბოლომდე უნდა იშრომო, რათა შენი თავის წინაშე იყო მართალიო. სწორია ეს კაცი — რომ მოიგებ, ყველა გაქებს, წააგებ და შესაძლოა, გაგინონ. ამიტომ ბოლომდე უნდა დაიხარჯო, რათა შენი თავის, შენი ნამუსის წინაშე იყო მართალი.

— შესაძლოა, მხოლოდ შრომით ვერაფერს გახდე, თუ სწორი მიმართულებით არ მიგყავს საქმე...

— ეგ უკვე სხვა საკითხია. როცა თავგამოდებით შრომობ, შენი საქმის სისწორეში დარწმუნებული უნდა იყო. გამარჯვებას ვერ მიაღწევს, თუ გუნდში დისციპლინა არ დაამყარე. პირველ რიგში ეს ვარჯიშებს ეხება, თუ გუნდის მომზადებისას არ დაამყარე წესრიგი, თამაშისას ვერაფერს გახდები. მე ალბათ ის მოვახერხე, რომ ვარჯიშებზე დამყარებული დისციპლინა თამაშებზეც გადავიტანე, სხვანაირად ჩემპიონები ვერ გავხდებოდით.

— 10 წლის წინ თუ წარმოიდგენდით, რომ ჩემპიონი გახდებოდით?

— ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რადგან მაშინ უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრაზე ვმუშაობდი, პარალერულად გურამ რამიშვილის საავტორო სკოლაში დირექტორის მოადგილე ვიყავი და საქართველოს ისტორიას ვასწავლიდი. ასევე დემირელის კოლეჯშიც მქონდა ლექციები რელიგიის ისტორიაზე, სადაც პირველად ვნახე ზაზა ფაჩულია, როცა ის 11-12 წლის იყო.

— მაშ კალათბურთში როგორ აღმოჩნდით?

— ბავშობაში ვთამაშობდი, „ტონოში“ საქართველოს ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი ვარ. შემდეგ უნივერსიტეტშიც ფაკულტეტების ჩემპიონი გავხდი. ისტორიკოსებს მანამდე, მგონი არასდროს მოუგიათ. ჩემს გუნდში თამაშობდნენ მანუჩარ მარკოიშვილისა და ვიქტორ სანიკიძის მამები. სამწუხაროდ სერიოზულ დონეს ვერ გავწვდი და...

— მწვრთნელობა გადაწყვიტეთ?

— არა, სწავლას გავყევი და ახლა ალბათ დისერტაციაც მექნებოდა დაცული, რომ არა ერთი ჩემი მოსწავლე. სკოლაში მუშაობისას ერთ-ერთი კლასის ბიჭებს ისტორიის სწავლა არ უნდოდათ, ძალიან ზარმაცობდნენ. ერთხელაც დავიბარე ფიზკულტურის დარბაზში, ოთხი ერთზე მეთამაშეთ კალათბურთი და თუ მომიგებთ, ხუთიანებს დაგიწერთ, თუ ვერა, ისწავლით და ხუთიანებს თავად მიიღებთ მეთქი. ის დღეები იყო და მოდის სხვა კლასის მოსწავლე — ნუგზარ მას, თქვენ გეტყობათ, გესმით კალათბურთი და ჩვენს გუნდს ვერ გაწვრთნითო? ეს ბიჭი ილო ზედგინიძე იყო, რომელიც მაშინ კალათბურზე დადიოდა. მისი გუნდი 53-ე სკოლაში ვარჯიშობდა და მწვრთნელი ჯემალ ნინიაშვილი გარდაეცვალა. ასე დაიწყო ჩემი სამწვრთნელო კარიერა.

— მაგ გუნდით მოხვდით საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში?

— ფორმალურად ის გუნდი იყო, მაგრამ შემდეგ არაერთი მოთამაშე დაგვემატა. ის იყო 17-18-წლიანების გუნდი, რომელიც თბილისის პირველობაზე თამაშობდა და საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში სურდა გადასვლა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, მე-3 ადგილი დავიკავეთ. შემდეგ სპონსორები გამოგვიჩნდა, ფედერაციამ, თუ ფულს შემოიტანთ, უმაღლესში გათამაშებთო და „გეორგიკას“ სახელით გამოვიდოდით. პირველ სეზონში მხოლოდ ბოლო 2 შეხვედრის მოგება მოვახერხეთ.

— სამწვრთნელო განათლება თუ გქონდათ?

— არა, წიგნებიდან ვსწავლობდი. ლიტერატურით განებივრებული არ ვიყავი, „ვითას“, „თბილისის“ და სხვა წამყვანი გუნდების ვარჯიშებზე დავდიოდი და სამწვრთნელო პროცესს ვაკვირდებოდი. ჩემპიონატის მატჩებზე სათადარიგოთა სკამთან ახლოს ვჯდებოდი და ვცდილობდი, წუთშესვენებისას მწვრთნელთა დარიგებები მომესმინა. თითოეულ შეცვლას ვაკვირდებოდი, მოკლედ, მწვრთნელობას ვსწავლობდი. მოგვიანებით ერთმა წამყვანმა კალათბურთელმა თქვა, „გეორგიკა“ იყო ის ერთადერთი გუნდი, რომელიც [illegible] კალათბურთის თამაშს ცდილობდაო. მე თავიდანვე ავირჩიე გარკვეული გეზი — [illegible] ზურაბ ტომარეიშვილთან, პაველ გოოგეზთან და სხვა მწვრთნელებთან მუშაობისას დავხვეწე.

— ნაკრებში როგორ მოხვდით?

— „გეორგიკას“ შემდეგ სდასუ-ში, სტუ-ში, „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდებში ვიმუშავე და შემდეგ მწვრთნელობას ჩამოვშორდი, ისევ სკოლაში დავბურნდი, თუმცა მოულოდნელად დუდუ დადიანმა დამირეკა და ნაკრებში დამიძახა. დუდუს მე ახლოს არ ვიცნობდი, მხოლოდ გამარჯობა-გაგიმარჯოთი, და მისმა ამ შემოთავაზებამ ძალიან გამახარა, თან გამაოცა.

— ამბობენ, პაველ გოოგეზთან მუშაობამ ძალიან შეუწყო ხელი კანდელაკის მწვრთნელად ჩამოყალიბებასო...

— რა თქმა უნდა, გოოგეზგან მე ბევრი რამ ვისწავლე. „ბასკოს“ გოოგეზ წასვლის შემდეგაც მისგან დატოვებული სამუშაო გეგმით ვავარჯიშებდი. მე მისგან ვისწავლე გუნდთან გამართული მუშაობა. რითი მოვუგეთ „დინამოს“? ლიუბლიანის „სლოვანის“ ერთ-ერთი ეფექტური კომბინაციით. მე იგი თავის დროზე კოტე ტულუშმა მომცა, რომელიც სლოვენიაში თამაშისას თითოეულ ვარჯიშს იწერდა. ეს კომბინაცია თამაშდება ბურთის აუტიდან შემოტანის დროს და საბოლოოდ სამქულიანის სასრილ პოზიციაზე გადის მოთამაშე. ასე ჩავაგდეთ შორი სროლების 90 პროცენტი. ამ ხერხს გოოგეც მიმართავდა და მასთან მუშაობისას კიდევ უფრო დავხვეწე.

— თქვენ ფეხბურთის მოყვარულიც ბრძანდებით...

— არაერთხელ მითქვამს, რომ ფეხბურთის უფრო დიდი გულშემატკივარი ვარ, ვიდრე კალათბურთისა. რაც მე ფეხბურთისთვის ნერვები და ენერგია შემილევია, ის კალათბურთისას რას გასწვდება. იყო დრო, დუბლიორთა ჩემპიონატის მატჩებსაც არ ვაცდენდი. თეთრაძე რომ ოსიპოვი იყო, იმ დროის გულშემატკივარი ვარ.

— ფეხბურთს არ თამაშობდით?

— არა, 42-ე სკოლაში ერთი ფარი იყო და სულ იქ ვიყავი ბურთით ხელში. არც წიგნებს ვაკლავდი თავს და არც ცუდად ვსწავლობდი, ეგაა, სულ ბურთით დავრბოდი. თუ მარტო ვიყავი, ფართან დავდგებოდი და ვყვიროდი — დერიუგინი ბურთით, გადააწოდა ბელოსტენნის... ერთხელ მასწავლებელმა ჩემი მშობელი დაიბარა და სანამ დედაჩემი მოვიდოდა, თანაკლასელის დედა მოვიდა შემთხვევით. მასწავლებელს დედაჩემი ეგონა და საყვედურებით აავსო, თქვენმა შვილმა ტვინი წაიღო თავისი კალათბურთითო. იმ ქალის შვილი პიანისტი იყო და მშობლები ბურთს არ აკარებდნენ, თითები არ გაუფუჭდესო. ჰოდა, პატარა გაურკვევლობის გამო კინაღამ გადაირია ის ქალი.

— მწვრნელობის გარდა კიდევ რა გეხერხებათ?

— არ ვიცი, გამოვირჩევი თუ არა, მაგრამ ვმღერი, ანსამბლშიც ვიყავი ერთი პერიოდი. ვუკრავ გიტარაზე, ფორტეპიანოზე და აკორდეონზეც კი — მეგობრებმა მაჩუქეს და იძულებული ვიყავი, მესწავლა. ჰო, კიდევ ხშირად ვთამადობ ხოლმე, მაგრამ არასდროს ვთვრები, გარკვეული ტაქტიკა სმაშიც მაქვს შემუშავებული.

— დღეს თქვენ ფაქტობრივად უმუშევარი ხართ, „ბასკო“ დაშლილია. რას აპირებთ?

— ხვალ ბათუმში მივდივართ მთელი გუნდი, ჩემპიონობას ავღნიშნავთ და აჭარის ახალ ხელისუფლებას შევხვდებით. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება, ბათუმში ისეთი საკალათბურთო კლუბი იყო, ისეთი ბაზა და ინფრასტრუქტურა ჰქონდა, რომ დამფინანსებელი ალბათ გამოუჩნდება. „ბასკო“ ხომ მხოლოდ ეს ჩემპიონი გუნდი არ იყო. ბათუმში საკმაოდ დიდი და მოწესრიგებული საკალათბურთო სკოლაა, რომელსაც ყველა ასაკობრივი გუნდი ჰყავს. ეს გუნდები ახლაც არსებობენ, ოღონდ სახელმწიფოსგან მხარდაჭერა ესაჭიროებათ. ალბათ, პატრონი გამოჩნდება და მეც ბათუმში ვიმუშავებ.

ირაკლი პერტაია

როგორც მასპინძლებს სურდათ...
ქართველებს რუმინეთში ქვა და მსაჯი დახვდათ

დავით ჩავლეიშვილის გუნდს რუმინეთში ერთდროულად მსაჯებთან, მორაგბეებთან და ორგანიზატორებთან მოუხდა ბრძოლა

ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა 20-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა ფინალში მარცხის მიზეზი გაამხილა. არაობიექტურ მსაჯობაზე აქამდეც ათასჯერ დაგვიწერია, მაგრამ რუმინული ტურნირი ამით განსაკუთრებით გამორჩეულა. ორგანიზატორები დაუძლეველ ბარიერად გადაეღობნენ საქართველოს ნაკრებს. ქვემოთ ნაკრების თავკაც დავით ჩავლეიშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ, რომელშიც პატარა ბორჯღალოსანთა დაჩაგვრის ამბავს უფრო დაწვრილებით შეიტყობით. თუმც ჩვენებურებს სასიამოვნო მოგონებებიც ჩამოჰყვათ — ნაკრები ხომ რუმინეთში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს დაემგზავრა

— ასეთი დაფასება უდიდესი სტიმული იყო ისედაც საბრძოლოდ შემართული გუნდისთვის. პრეზიდენტი ჩვენთან შემოვიდა, გაგვამხნევა და ჩემპიონობა გვისურვა. ჩვენ კი ბორჯღალებით მოხატული ჰალსტუხი და მორაგბეების ხელმოწერებით დამშვენებული რაგბის ბურთი ვუსახსოვრეთ.

— თამაშზე მოსვლას არ შეგპირდათ?

— პირველ შეხვედრაზე დასწრებას აპირებდა, მაგრამ ველარ მოახერხა.

— არადა, სერბეთი მიწასთან გაასწორეთ, არ შეგეცოდათ მაინც?

— რომ არ შევეცოდებოდა, ღმერთმა იცის, რამდენად დიდი სხვაობით მოვუგებით. ორგანიზატორებმა მინდორზე გასვლამდე გვთხოვეს, ახალი გუნდია და ძალიან თუ არ მიაწვებით, კარგს იზამთო. ნახევარი ძალითაც არ მივწოლილვართ, მაგრამ 100 ქულაზე ნაკლების დაგროვება ვერ მოვახერხეთ.

— კი მაგრამ, რაგბის ბურთი საერთოდ არ ჰქონდათ ნანახი?

— ძალიან უჭირდათ. რომ მოგვენდომებინა, ბურთზე ხელს არ დავაკარებინებდით. გვინდოდა, ეს თამაში წინასაესპანეთო ვარჯიშად გამოგვეყენებინა, თუმც ვარჯიშადაც არ გამოდგა.

— ყველაზე მეტად რომელმა მორაგბემ გაილაღა?

— ოფიციალური ოქმით არ მახსოვს, ვინ რამდენი ლელო გაიტანა. თამაშის მიმდინარეობისას კი ამის დადგენა შეუძლებელი იყო. სხვაობა ისე სწრაფად იზრდებოდა, ანგარიშის დათვლასაც ვერ ვასწრებდით. ბოლოს ყველას განსხვავებული ვერსია ჰქონდა — უმეტესობას 120:6, ტაბლომ კი 109:6 ანგარიში დააფიქსირა.

— ესპანეთთან შედარებით მოკრძალებული ანგარიშით მოიგეთ...

— უკვე ამ თამაშში გამოჩნდა, რომ მასპინძელთა გაჩემპიონებაზე სერიოზულად მუშაობდნენ. ნახევარფინალში რუმინელებმა გვიმსაჯეს და მათი საფიქრალი ჩვენი მოთამაშეების გაძევება იყო. ცხადია, ეს ესპანელებმაც იცოდნენ და უშიშრად გვეუხეშებოდნენ. მათი მეათედიც რომ გაგვებედა, სასტიკად დავისჯებოდით. ბიჭები გაეაფრთხილეთ, პროვოკაციაზე თვალი დაეხუჭათ და ასეც მოიქცნენ, თუმც ძალიან ძვირი უჯდებოდათ. მატჩის შემდეგ სულ დალილავებულები იყვნენ. გიგაური და ალიქაძე მაინც გააძევეს, მხოლოდ 10-10 წუთით, და იცით რისთვის? მოწინაალმდეგის მუშტებს არ უპასუხეს და ხელები მაღლა აწიეს.

— ადვილი წარმოსადგენია, რუმინეთთან რა იქნებოდა...

— მასპინძლებს რომ წაეხმარებოდნენ, ჯერ კიდევ რუმინეთში წასვლამდე ვამბობდით, მაგრამ არაობიექტურობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მატჩის დაწყებამდე გასახურებლად ისეთ ქვა-ღორღიან მოედანზე გაგვიშვეს, თბილისშიც რომ ვერ მოძებნით. პროტესტზე გვიპასუხეს, მეტი არ გვაქვსო, მაგრამ დიდი ჩხუბის შემდეგ კეთილი ინებეს და მინდვრიან სტადიონზე შეგვიშვეს, სადაც მათი ნაკრები დაგვხვდა.

— ფინალი სადაურმა არბიტრმა იმსაჯა?

— მთავარი მსაჯი იტალიელი იყო, თუმც თამაში მთლიანად გვერდითი რუმინელი მსაჯის კარნახით მიდიოდა. რაც მასპინძელთა სკამს სურდა, ყველაფერი წუთებში ხდებოდა. სოხაძის საჯარიმოთი რომ დავწინაურდით, სრულიად უმიზეზოდ გააგდეს. იცოდნენ, ჯარიმებს კარგად ურტყამდა და მოიცილეს, მაგრამ ტაიმის ბოლოს ეს საქმე ბარკალაიამაც კარგად გააკეთა. შესვენების შემდეგ ზეწოლა კიდევ უფრო გაზარდეს და ანგარიშიც სათავისოდ შეატრიალეს. თამაშის გადარჩენის ერთ-ერთი ბოლო შანსი კი მაშინ წაგვართვეს, პირველხაზელი ჟღენტი რომ გაგვიძევეს. იგი შეცვლაზე ახალი შემოსული იყო და მასპინძლებს „სახიფათოდაც“ აწვებოდა. მაგრამ ისევ გვერდითი მსაჯის მითითებით მთავარმა მსაჯმა თამაში გააჩერა და ყველა სახტად დაგვტოვა — ჟღენტი მოძებნა და გააგდო.

— შედეგის გაპროტესტება არ გიცდიათ?

— გვინდოდა, მაგრამ ეს ვერაფერს შეცვლიდა. შეხვედრას ფირა-აერ-ის პრეზიდენტიც ესწრებოდა და თავად მოგვისამძიმრა, სამწუხაროა, ასე რომ მოხდაო. რუმინელების ზეიმის დროს კი ყველა სხვა ნაკრები ჩვენთან მოდიოდა და გვილოცავდა. ერთადერთი, იმაზე მწყდება გული, თამაში დროზე ადრე რომ არ შევწვიტეთ. ამისო საფუძველი არაობიექტურობის გარდა სხვაც გვქონდა: ტრიბუნებიდან ბიჭებს ქვებს ესროდნენ.

— ნახევარფინალშიც ასე მოიგო რუმინეთმა?

— რუსებიც საშინლად დაჩაგრეს, თუმც ჩვენი თამაშის არაობიექტურ მსაჯობა დღევანდელთან ახლოსაც ვერ მივაო, გვითხრეს რუსებმა. ის შეხვედრა ჩვენც ვნახეთ და გარწმუნებთ, რუმინელები ფინალშიც არ უნდა გასულიყვნენ.

— ესე იგი რეალურად საჩემპიონო ნაკრები გვყავდა?

— რუმინეთისაზე გაცილებით ძლიერი, ყველაფერი წინასწარ რომ არ ყოფილიყო გათვლილი.

— ჩვენ არ შეგვეძლო ამ ტურნირზე მსაჯის ჩაყვანა?

— წინასწარი შეთანხმებით, ამისთვის საფრანგეთიდან ზაზა ლეჟავა უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ მოულოდნელად მთავარმა მსაჯმა დაურეკა, ნუღარ შეწუხდებით, თამაშები უკვე გადანაწილებულია და ადგილები აღარააო.

— ბიჭების თამაშით კმაყოფილი დარჩით?

— უკმაყოფილების მცირე საბაბიც კი არა მაქვს. ყველა ბოლომდე დაიხარჯა და რაც მთავარია, თითოეულმა მათგანმა პროფესიონალიზმი დაგვანახა. იმხელა ფსიქოლოგიურ დატვირთვას გაუძლეს, ვერც წარმოიდგენთ. ნერვებს რომ აჰყოლოდნენ და ეშმაკურ ჩანაფიქრს წამოგებოდნენ, მთელი ტურნირი ჩხუბში უნდა გაეტარებინათ.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსიც საბოლოოდ დაიკარგა?

— სამწუხაროდ, რუმინეთთან მარცხმა ეს პრიზიც ცხვირწინ აგვაცალა.

— მაშასადამე ამ ახალგაზრდებისთვის ერთად თამაშის ერთი ეტაპი დასრულდა?

— კარგი იყო, მსოფლიომდე ერთად ემუშავათ. ეს სამომავლოდ ძირითად ნაკრებს წაადგებოდა. ახლა კი სხვა გამოსავალი უნდა მოვძებნოთ. ასეთად A ნაკრების შექმნა მიგვაჩნია. ეს გუნდი მთავარი ნაკრებისთვის საბაზო იქნება და 20-წლამდელთა ნაკრების ძირითადი ბირთვით დაკომპლექტდება. ამის შესახებ უკვე მერაბ ანთაძესთანაც ვისაუბრეთ და იდეა მანაც მოიწონა. სავარაუდოდ, A ნაკრები პირველ შეხვედრას სამხრეთ აფრიკულ „ბულზთან“ ჩაატარებს.

ოთარ მაღლაკელიძე

2004 NBA Playoffs
კონფერენციის ფინალი



„მინესოტამ“ „ლეიკერსზე“ ჯავრი იყარა. უხეშ და თითქმის ბინძურ თამაშში სამი ტექნიკური მინესოტელებმა მიიღეს, ოთხი ლეიკერსელებმა

23 მაისი

დასავლეთი
მინესოტა 1:1 ლეიკერსი

მინესოტა 89:71 ლეიკერსი

მინესოტა: კასელი, ჰასელი, სპრიუელი (17), გარნეტი (24 ქულა, 11 მოხსნა), ჯონსონი (7); შჩერბიაკი (16), მარტინი (15), მადსენი (6), მილერი (2), ტრენტი (2), ჰოიბერგი, ოლოვოკანდი

ლეიკერსი: პეიტონი (8), ბრაიანტი (27), ჯორჯი (3), მელოუნი (5), ონილი (14 ქულა, 16 მოხსნა); ფიშერი (4), უოლტონი (3), რაში (2), მედვედენკო (2), კუკი (2), ფოქსი

ჯირო დიტალია 2004. 8-30 მაისი

მე-12 ეტაპი. 21 მაისი. ჩეზენა — ტრევიზო. 210 კმ

1 ალესანდრო პეტაკი (იტალია) ფასა ბორტოლო	4 სთ, 48 წთ, 12 წმ
2 რობი მაკივენი (ავსტრალია) ლოტო-დომო	
3 ალექსანდ უსოვი (ბელარუსი) ფონაკი	ორივე იგივე დრო

მე-13 ეტაპი. 22 მაისი. ტრიესტი. 52 კმ

ინდივიდუალური რბოლა

1 სერგეი გონჩარი (უკრაინა) დი ნარდი	1 სთ, 6 წთ, 45 წმ
2 ბრედ მაკგი (ავსტრალია) FDJeux.com	+18 წმ
3 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბუკრედიტი	+34 წმ

მე-14 ეტაპი. 23 მაისი. ტრიესტი — პულა (ხორვატია). 175 კმ

1 ალესანდრო პეტაკი (იტალია) ფასა ბორტოლო	5 სთ, 8 წთ, 58 წმ
2 ფრედლი როდრიგესი (აშშ) აკუა-საპონე	
3 მარკო ველო (იტალია) ფასა ბორტოლო	ორივე იგივე დრო

მე-15 ეტაპი. 24 მაისი. პორეჩი — სან ვანდემიანო. 234 კმ

1 ალესანდრო პეტაკი (იტალია) ფასა ბორტოლო	5 სთ, 59 წთ, 52 წმ
2 რობი მაკივენი (ავსტრალია) ლოტო-დომო	
3 ოლაფ პოლაკი (გერმანია) გეროლშტენერი	ორივე იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბუკრედიტი	66 სთ, 48 წთ, 30 წმ
2 სერგეი გონჩარი (უკრაინა) დე ნარდი	+3 წმ
3 ბრედლი მაკგი (ავსტრალია) FDJeux.com	+1 წთ, 2 წმ
4 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	+1 წთ, 27 წმ
6 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	+1 წთ, 48 წმ
8 სტეფანო გარძელი (იტალია) ვინი კალდეროლა	+2 წთ, 31 წმ
12 ემანუელე სელა (იტალია) კერამიჩე პანარია	+3 წთ, 46 წმ

სწორუპოვარმა სპრინტერმა ალესანდრო პეტაკიმ ომისშემდგომი „ჯიროს“ რეკორდი დაამყარა: წლეულს მან უკვე 8 ეტაპი მოიგო

როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი საპრიზო 13 263 280 €

აგასიმ დამწყებთან დაამთავრა

პირველი წრე

კაცები

ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — **იოახიმ იოჰანსონი** (შვედეთი) 7:5, 7:6 (7:5), 7:5; **გილერმო კორია** (3, არგენტინა) — **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) 6:4, 6:2, 6:0; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — **იონ ფან ლოტუმი** (ჰოლანდია) 6:3, 6:4, 3:6, 6:2; **ჟერომ ენელი** (საფრანგეთი) — **ანდრე აგასი** (6, აშშ) 6:4, 7:6 (7:4), 6:3; **ტიმ ჰენმანი** (9, ბრიტანეთი) — **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) 4:6, 4:6, 7:6 (7:2), 6:4, 6:3; **პარადორნ შრიჩაფანი** (13, ტაილანდი) — **ტომას ბერდიხი** (ჩეხეთი) 6:3, 6:4, 3:6, 6:1; **ანდრეი პაველი** (21, რუმინეთი) — **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) 6:2, 0:0 **ერნანდესმა შეწყვიტა**; **ხუან იგნასიო ჩელა** (22, არგენტინა) — **ჰარელ ლევი** (ისრაელი) 6:3, 6:1, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — **გრეგ რუზეკი** (ბრიტანეთი) 7:6 (9:7), 6:0, 6:0; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — **დენის ფან სხეპინგენი** (ჰოლანდია) 6:0, 6:4, 6:2

ქალები

ჟუსტინ ენინ-არდენი (1, ბელგია) — **სანდრინ ტესტიუ** (საფრანგეთი) 6:4, 6:4; **ამელი მორესმო** (3, საფრანგეთი) — **ლუდმილა ჩერვანოვა** (სლოვაკეთი) 6:3, 6:3; **ნადია პეტროვა** (8, რუსეთი) — **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) 6:2, 6:3; **პაოლა სუარესი** (14, არგენტინა) — **მილაგროს სეკერა** (ვენესუელა) 6:3, 6:4; **სილვია ფარინა ელია** (15, იტალია) — **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) 4:6, 6:0, 6:2; **მარია შარაპოვა** (18, რუსეთი) — **ბარბარა შვარცი** (ავსტრია) 6:3, 6:0; **მაგდალენა მალეევა** (21, ბულგარეთი) — **ანკა ბარნა** (გერმანია) 6:2, 6:2; **დინარა საფინა** (32, რუსეთი) — **იულია შრუფი** (გერმანია) 7:5, 6:7 (4:7), 6:3

როლანგაროსობის პირველ დღეს სენსაციის გარეშე არ ჩაუვლია, თუმცა სანამ ამ ამბავზე მოგახსენებდეთ, ხამს, ჯერ ირაკლი ლაბაძის მოგებისა ვთქვათ.

კარიერის პირველი სლემგამარჯვება ქართველთა პირველმეჩოგნეს ორი წლის წინ სწორედ პარიზულ სეფეთიხნარზე მოეხვეჭა. მართალია, შარშან მან იქაურსავე პირველ წრეში ვინს სპადიას წინააღმდეგობა ვერ გადალახა, მაგრამ წლეულს ის გაცილებით უკეთეს ფორმაშია. ამ მომენტისთვის ლაბაძეს მთავარ რეიტინგსიაში 50-ე, ხოლო ჩემპიონთა რბოლაში 37-ე ადგილი უჭირია და ათი საამსეზონო მარცხის წილ უკვე 12 მოგებას მოიძევს.

ეს მეთორმეტე მან გუშინ ახმახ შვედთან, 22 წლისა და მიწიდან 198 სანტიმეტრის ამთვლელ იოახიმ იოჰანსონთან თუმც ფიცხელ, მაგრამ მაინც მისი უპირატესობით მიმდინარე ბრძოლაში იშოვა.

ეს იოჰანსონი ამქარში 2000 წლიდან ტრიალებს, საყოველთაო ყურადღების ცენტრში კი წლეულს, მემფისობაზე წარმატების შემდეგ აღმოჩნდა. ოღონდ როლანგაროსობა, მემფისობისგან განსხვავებით, არა ჰარდზე, არამედ თიხნარზე იმართება და გადამწყვეტიც გუშინ სწორედ ეგ გამოდგა — ლაბაძე უნივერსალისტია და ყველა საფარზე თანაბრად ჩოგნობს, იოჰონსონის მძლავრ მოწოდებას კი გასავალი მხოლოდ სწრაფსაფარა კორტებზე აქვს.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ეს მათი პირველი შეხვედრა გახლდათ. მორიგ საამროლანგაროსო შეხლას კი ლაბაძე ან 32-ედ განთესილ არნო კლემანთან გამართავს ანაც მის მიერ შარშანდელ სენტჟენდელურურ ჩელენჯერფინალში ძლეულ ფაბრის სანტოროსთან.

აგასის ვერრვაასი

ვერ იქნა და რვაასმოგებიან თამასას ვერ შესწვდა 34 წლის ლეგენდარული არმენოამერიკელი ანდრე აგასი. ეს მისი უკვე მესამე მცდელობა იყო და — ვაგლახ — კვლავაც ჩაფლავებული.

როლანგაროსობის 1999 წლის ჩემპიონს ამ ჯერზე სრულიად უსახელო ფრანგმა, რეიტინგსიის 271-ე საფეხურზე მდგომმა 23 წლის ჟერომ ენელმა აჯობა, რომელიც — როგორ არ გაგეცინოს და — თავის პირველ საეიტიპო მატჩს თამაშობდა.

ისე კი, იმის მიუხედავად, რომ აგასი წლეულს თავის მე-16 როლანგაროსობაზე გამოდიოდა და პირველ წრეში აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1998 წელს ჯერაც ყმაწვილ მარატ საფინს შემოეჩოგნა, გუშინდელ მის მარცხს მაინცდამაინც დიდ მოულოდნელობასაც ვერ დავარქმევთ.

საქმე ისაა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში რვაგზის სლემტიტულოსან ჯადოკაცს მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი მატჩები თუ

ეს რა დამემართა! ანდრე აგასიმ უცნობ კვალიფიკანტ ჟერომ ენელისთან წააგო

REUTERS პარი ზიდან

დაუგროვდა, ხოლო თიხნარზე სულაც ერთხელ ვიხილეთ — ერთი კვირის წინ, ავსტრიულ ზანკტპოლტენში, სადაც ასევე პირველ წრეში დამარცხდა.

არა, ამ ამბავს არანაირი ახსნა და გამართლება არა აქვსო, იძახდა გუშინ დამარცხებული ვეტერანი და, დია ღმერთო, ცამდე მართალიც იყო.

სხვაფრივ — სხვა მაღალგანთესილ მეჩოგნეებს, ძირითადად კი იმათ, ვისი განთესვის ნომერიც მათ ამჟამინდელ ილაჯოსნობას ადეკვატურად ასახავს, თავ-თავიანთი პრობლემების გადაჭრა არ გასჭირვებიათ.

გილერმო კორიამ მოულოდნელად იოლად შემუსრა გამოცდილი რუსი მეთიხნარე ნიკოლაი დავიდენკო, ტურნირის 1998 წლის ჩემპიონმა კარლოს მოიამ ჰოლანდიელ ფან ლოტუმს ერთი სეტი კი დაანება, მაგრამ მაინც დამაჯერებლად გაირჯა.

ოდნავ ყოყმანობდა ქალთა ამქრის პირველოსანი ჟუსტინ ენინ-არდენი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელ ჩემპიონს ვირუსული ინფექციის გამო ბოლო თვენახევარი ჩოგანი არ გაუნძრევია, ეგ არ უნდა გაგვიკვირდეს. სანდრინ ტესტიუს ის ასეთი მოუანგულიც დასტურ ეყო.

რაც შეეხება ფრანგთა მთავარიმედს, ამელი მორესმოს, მან სლოვაკ ლუდმილა ჩერვანოვას კიდევ უფრო უოფლოდ გადაურბინა.

ლევან კელაურაძე

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ელისტა. რუსეთი. 21 მაისი — 8 ივნისი

I წრე

მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) — ფარიდა აროუჩე (ალჟირი) 1:0 (პირველი პარტია 0,5:0,5)
ქსუ იუჰუა (ჩინეთი) — სოფიკო ტყეშელაშვილი (საქართველო) 0,5:0,5 (0,5:0,5) ტაი-ბრეიკი 1:0, 1:0
ნანა ძაგნიძე (საქართველო) — ჯენიფერ შაჰაიდე (აშშ) 1:0 (0,5:0,5)
ოლგა ალექსანდროვა (უკრაინა) — ანა მათნაძე (საქართველო) 0,5:0,5 (1:0)
ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) — ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) 0:1 (1:0); ტაი-ბრეიკი 1:0, 1:0
ნინო ხურციძე (საქართველო) — ეკატერინე პოლოვნიკოვა (რუსეთი) 0:1 (0,5:0,5)
მაია ლომინეიშვილი (საქართველო) — ირინა სლავინა (რუსეთი) 0,5:0,5 (1:0)
იზაბელა-კორინა პეტან (რუმინეთი) — რუსუდან გოლეთიანი (აშშ) 1:0 (0,5:0,5)
ზი ზან ან ნგუიენი (ვიეტნამი) — ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია) 0,5:0,5 (0,5:0,5) ტაი-ბრეიკი 0:1, 1:0, 1:0, 0:1, 0,5:0,5

მხოლოდ ქართველთა შედეგები



მაია ჩიბურდანიძე მეთექვსმეტედფინალია

გოგონები სამოგით არიან

ასლან აბაშიძეს ჯიდევ ვნახავთ

ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში მეოთხე დღეა, ბათუმიდან იძულებით გადატანილი ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. პირველობის გახსნის ცერემონიალზე აჭარის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ჩასვლაც იყო დაგეგმილი, თუმც უცნობი მიზეზების გამო საქართველოდან ლტოლვილი აბაშიძე ყალმუხეთს არ სწვევია, იქ მისი ვაჟი, გიორგი იმყოფებოდა. ბათუმის ყოფილი მერი ელისტაში შავი ზღვის საჭადრაკო ასოციაციის პრეზიდენტის რანგში ჩავიდა. უფროსი აბაშიძის ჩაუსვლელობაზე ჩემპიონატის ორგანიზატორებს ბევრი არ უსაუბრიათ, თუმც მონაწილენი დაიმედეს, იგი თავის სახელობის ძვირფასი თვლებით მოჭედილ გვირგვინს გამარჯვებულს საკუთარი ხელით დადგამს თავზეო. ასე რომ, აბაშიძეს ალბათ კიდევ ნახავენ ელისტაში.

აბაშიძის გვირგვინისთვის მოდავეთა რიცხვი კი უკვე 32 მოჭადრაკემდე შემცირდა. მათ შორის მხოლოდ სამია ჩვენი ქვეყნის სახელით მოასპარეზე — ჩიბურდანიძე, ძაგნიძე და ლომინეიშვილი.

მაია ჩიბურდანიძეს არ გასჭირვებია ფარიდა აროუჩეს ჩამოცილება. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა პირველ შეხვედრაში შავი ფიგურებით სძლია მეტოქეს, განმეორებითში კი მე-11 სვლაზე ყაიმით დაუსრულა შეხვედრა და მეთექვსმეტედფინალში გავიდა.

ამავე ანგარიშით იმარჯვა ნანა ძაგნიძემ, თუმც ჩიბურდანიძისგან განსხვავებით, მეტი ბრძოლის გადატანა მოუხდა. ახალგაზრდა ქართველს მეორე პარტიაში სასურველი ყაიმის მისაღწევად 36 სვლა დასჭირდა.

შავებით მოთამაშე შაჰაიდე აქტიურად ჩაერთო თამაშში, მე-6 სვლაზე საკუთარი ხელმწიფე უსაფრთხო ადგილზე დააბინავა თუ არა, მყისვე ლაზიერის ფლანგზე იერიში წამოიწყო. ამერიკელის მოზღვავებულ არმიას ქართველი მომზადებული დახვდა და დროებით შეაკავა იგი. შაჰაიდე c ხაზზე პაიკის გაყვანას შეუდგა და ფიგურა c4 უჯრაზე გაამაგრა. შესაბამისად ბრძოლებმაც ამ პაიკის გარშემო გადაინაცვლა, თუმც დიდხანს არ გაგრძელებულა. 26-ე სვლაზე ქართველმა მტრის პაიკი აიყვანა, ამერიკელს გეგმები ჩაუფუშა და ათიოდ სვლაში სასურველ ყაიმს მიაღწია.

მეორე შეხვედრაში მომდევნო ტურში გასასვლელად მოგება სჭირდებოდა ლომინეიშვილს, თუმც სლავინა რაიმეს თავაზიანად დათმობს არ აპირებდა და დიდი შემართებით დახვდა ქართველს. მეტოქეები თავიდანვე ფიგურების გაცვლას შეუდგნენ. ორთაბრძოლებში კი ქართველმა ჭკუით აჯობა რუსს, 32-ე სვლაზე ოფიცერი ეტლში დაუთმო და ხარისხით დაწინაურდა. ამ დროისთვის დაფიდან საკმაოდ იყო გაკრეფილი ფიგურები და სლავინა a ხაზზე მოძრავი პაიკის გაყვანას შეეცადა, თეთრმა ეტლებმა მალევე იგრძნეს საფრთხის მოახლოება და მდგომარეობის განსამუხტავად წინ წავიდნენ. მათ ჯერ დედოფლობაზე მეოცნებე შავი პაიკი მოაშთეს, შემდეგ კი მეფეს მიუხდნენ და თითქმის ოცსვლიანი დევნის შემდეგ კაპიტულაცია გამოაცხადებინეს.

მეორე რაუნდში გასვლის შანსი კიდევ ორ ქართველს ჰქონდა — ტყეშელაშვილსა და ჯავახიშვილს, თუმც მათ გადათამაშებაში ორივე პარტია წააგეს და ჩემპიონატს პირველივე წრეში გამოეთიშნენ.

ლაშა გეგეჭკორი

ევროპის ჩემპიონატი

თურქეთი. ანთალია. 14–31 მაისი

VIII ტური

რალფ აკესონი (შვედეთი) — ბაადურ ჯობავა (საქართველო) 0:1
გაბრიელ სარქისიანი (სომხეთი) — ზვიად იზორია (საქართველო) 0,5:0,5

მხოლოდ ქართველთა შედეგები

1 დავიდ ნავრა (ჩეხეთი)	6,5
2 მიხეილ კრასენკოვი (პოლონეთი)	6
3 ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	6
4 შახრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	5,5
5 ბაადურ ჯობავა (საქართველო)	5,5
11 ზვიად იზორია (საქართველო)	5

კანდიდატი

არჩევნები და ბეისბოლი განუყრელი რამეებია. ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი ჯონ კერი და მისი ქალიშვილი ვანესა ბოსტონში, იქაური „რედ სოქსისა“ და ტორონტოს „ბლუ ჯეისის“ მატჩს ესწრებიან და ეროვნულ ჰიმნსაც გულზე ხელდადებულნი ისმენენ.



REUTERS

ჯიროს ხორვატია

ველომრბოლთა ეს ქანდაკება ხორვატმა მოქანდაკემ ვასკო ლიპოვაცმა გამოძერწა და ქალაქ პულაში დადგა. მიზეზი მარტივია: ადრიატიკის სანაპიროზე მდებარე პულაში, ისტორიაში პირველად შემოუხვია დიდი ველორბოლის ჯირო დიტალიის მარშრუტმა. ხორვატია პირველად მოხვდა ჯიროს თვალსაწიერში.



REUTERS



REUTERS

რუსული კოშკი

რუს აკრობატ გოგონათა ოსტატობა ცნობილია. ნახეთ, როგორი კოშკი აუგია მათ სამეულის აკრობატიკის მსოფლიოს მე-19 ჩემპიონატზე, ლევინში რომ მიმდინარეობს.

ჩაი და გოლფი



REUTERS

აქ არც ბალახია, არც საჭირო მოსახვევები და არც ჩრდილი, მაგრამ ქაბულში უკვე არის გოლფ კლუბი, რომელსაც თავისი თასი აქვს და ჩაისაც ყოველი დარტყმის შემდეგ მოგართმევენ. ჯერჯერობით ასეა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29.
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge